წინასაარჩევნო მედია მონიტორინგი

11 მაისი-15 აგვისტო 2012

მედია მონიტორინგის დროს 11 მაისიდან - 15 აგვისტოს ჩათვლით პერიოდში გამოვლენილი <u>ძირითადი მიგნებები</u>:

- რუსთავი 2-სა და იმედზე დათმობილი დროის მიხედვით პირველი ხუთეულის თანმიმდევრობა და დროის განაწილება ერთმანეთს ემთხვევა. ესენია: პრეზიდენტი, მთავრობა, კოალიცია ქართული ოცნება, ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა და ერთიანი ნაციონალური მოძრაობა.
- დანარჩენ ხუთ არხზე (პირველი არხი, მაესტრო, კავკასია, მეცხრე არხი და რეალ ტვ) დათმობილი დროის მიხედვით პირველ ადგილას კოალიცია ქართული ოცნება დგას. თუმცა, დროის განაწილების მხრივ პროცენტული მაჩვენებლები განსხვავებულია.
- საკმაოდ მსგავსია დათმობილი დროის განაწილება მაესტროსა და მეცხრე არხზე. აქ თანმიმდევრობა ასე გამოიყურება: კოალიცია ქართული ოცნება, მთავრობა; მაესტროს შემთხვევაში: პრეზიდენტი და ერთიანი ნაციონალური მოძრაობა; მეცხრე არხის შემთხვევაში კი პირიქით: ერთიანი ნაციონალური მოძრაობა და პრეზიდენტი.
- რეალ ტვ-ზე, მოცემულ არხებს შორის, სუბიექტებისთვის დათმობილი დროის განაწილება ყველაზე არათანაბარია.

- პირველ არხზე, მაესტროზე, კავკასიასა და მეცხრე არხზე ყველაზე ნაკლები პირდაპირი საუბრის წილი მთავრობას აქვს. აქედან ყველაზე ნაკლები პროცენტული მაჩვენებელი მეცხრე არხზე დაფიქსირდა.
- რუსთავი 2-ზე, იმედსა და რეალ ტვ-ზე კოალიცია ქართულ ოცნებას ყველაზე დაბალი პირდაპირი საუბრის წილი აქვს. ამასთან, ამ სამ არხზე პრეზიდენტს 70 პროცენტზე მეტი პირდაპირი საუბრის წილი დაუფიქსირდა.

- გაშუქების ტონის მხრივ გამოიკვეთა ტენდენცია, რომ რუსთავი 2-სა და იმედზე სუბეიქტები პრეზიდენტი, მთავრობა და ქრისტიანულ-დემოკრატიული მოძრაობა უმეტეს შემთხვევებში დადებითად არიან გაშუქებული. ამავედროულად, კოალიცია ქართული ოცნება - უარყოფითად.
- რეალ ტვ დღის მთავარ საინფორმაციო გამოშვებას უმეტესად კოალიცია ქართულ ოცნებას უთმობს და მას თითქმის ყოველთვის უარყოფით ან ძალიან უარყოფით კონტექსტში აშუქებს. ამ არხზე პრეზიდენტისა და მთავრობის დადებითი გაშუქების ტენდენციაც შეინიშნება.
- მაესტროსა და მეცხრე არხზე მთავრობა, პრეზიდენტი და ერთიანი ნაციონალური მოძრაობა უფრო ხშირად უარყოფითად არის გაშუქებული. თუმცა, აღსანიშნავია, რომ მეცხრე არხზე ეს ტენდენცია უფრო მეტად იკვეთება.
- კავკასიასა და პირველ არხზე უფრო მეტად ჭარბობს ნეიტრალური ტონი. თუმცა, აქვე აღსანიშნავია, რომ პირველ არხზე პრეზიდენტს დადებითი გაშუქების საკმაოდ დიდი წილი აქვს.

მეთოდოლოგია და ანალიზი

მოცემული ანგარიში მოიცავს 11 მაისიდან 15 აგვისტოს ჩათვლით პერიოდს. გამონაკლისია რაოდენობრივ ნაწილში სუბიექტების გაშუქების ტონი, რომელიც გაანალიზებულია 19 ივნისიდან 15 აგვისტოს ჩათვლით პერიოდისთვის მეთოდოლოგიაში შესული ცვლილებების გამო. 11 მაისიდან 15 აგვისტომდე პერიოდში ხუთი ანგარიში უკვე მომზადდა[1] ორ-ორ კვირიანი შუალედებით. ამ ანგარიშში კი შეჯამებულია არსებული ხუთი პერიოდის მონაცემები (11 მაისი-30 ივლისი), ასევე დამატებულია 31 ივლისიდან 15 აგვისტომდე პერიოდის შედეგები.

ტელევიზიების წინასაარჩევნო მედია მონიტორინგი მოიცავს რაოდენობრივ და თვისებრივ კომპონენტებს. რაოდენობრივში შედის სუბიექტებისთვის დათმობილი დრო, პირდაპირი და ირიბი საუბარი და გაშუქების ტონი. თვისებრივი მონიტორინგის კომპონენტები კი არის: ბალანსი, სიზუსტე, ფაქტებზე დაფუძნებული გაშუქება, კადრებითა და მუსიკით მანიპულირება.

რაოდენობრივი მონაცემები მოცემულია დიაგრამებზე, რომლებიც ანგარიშს თან ერთვის. დიაგრამებზე სუბიექტებისთვის დათმობილი დრო მოცემულია პროცენტებში. 100 პროცენტად აღებულია მონიტორინგის პერიოდში თითოეულ არხზე ყველა სუბიექტისთვის დათმობილი დრო, რაც თითოეული დიაგრამის სათაურშია მითითებული. თუ დიაგრამაზე რომელიმე პოლიტიკური პარტია, რომელიც მონიტორინგის სუბიექტს წარმოადგენს, არ არის წარმოდგენილი, ეს იმას ნიშნავს, რომ ამ პერიოდში ამ არხზე ამ პარტიას დრო საერთოდ არ დაეთმო. ის პარტიები კი, რომლებსაც რამდენიმე წამი/წუთი მაინც დაეთმო, დიაგრამაზე ნაჩვენებია (ზოგჯერ დროის 0 პროცენტით). თითოეულ არხზე კატეგორია სხვაში გაერთიანებულია ის სუბიექტები (პოლიტიკური პარტიების გარდა), რომლებსაც ამ არხზე დროის 1 პროცენტი ან ნაკლები დაეთმო.

პირდაპირი და ირიბი საუბარი ერთმანეთისგან განასხვავებს, სიუჟეტში სუბიექტი თვითონ საუბრობს თუ მასზე საუბრობენ სხვები: ჟურნალისტი ან სხვა რესპონდენტები. დიაგრამებზე

[1] ანგარიშები შეგიძლიათ, იხილოთ აქ: http://mediamonitor.ge/

პირდაპირი და ირიბი საუბარი მოცემულია პროცენტებში. 100 პროცენტად აღებულია თითოეული სუბიექტისთვის ამ არხზე დათმობილი დრო, რაც დიაგრამებზე მოცემულია სუბიექტების გასწვრივ (სთ:წთ:წმ ფორმატში). ის სუბიექტები, რომლებსაც არხზე 11 მაისიდან 15 აგვისტოს ჩათვლით პერიდოში 10 წუთზე ნაკლები დრო დაეთმო, დიაგრამებზე წარმოდგენილი არ არის.

გაშუქების ტონი ენიჭება სუბიექტს მაშინ, როცა მასზე საუბრობენ ირიბად და ასევე მაშინ, როდესაც ის თვითონ საუბრობს თავის თავზე, სხვა სუბიექტებზე ან ზოგად საკითხებზე. დიაგრამებზე ნაჩვენებია ტონის სამი კატეგორია: დადებითი (მწვანე), ნეიტრალური (ყვითელი) და უარყოფითი (წითელი). როდესაც ითვლება სუბიექტისთვის დათმობილი დრო, იქვე ხდება დათმობილი დროის ტონის შეფასება. ყურადღება ექცევა როგორც ჟურნალისტის ან რესპონდენტის ტექსტს, ასევე სიუჟეტის მთლიან კონტექსტს.

სუბიექტებისთვის დათმობილი დროის შეფასება ტონების მიხედვით მოცემულია ორგვარად: მოცემულ არხზე სუბიექტებისთვის დათმობილი მთლიანი დროის შეფასება ტონის მიხედვით და ცალკე ჟურნალისტის მიერ სუბიექტების გაშუქების/ხსენების ტონი. გაშუქების ტონი მოცემულია პროცენტებში. პირველ შემთხვევაში 100 პროცენტად აღებულია კონკრეტულ არხზე სუბიექტზე საუბრის დრო მთლიანად და ცალკე ჟურნალისტების მიერ ამ სუბიექტზე საუბრის დრო. სუბიექტები, რომლებსაც თითოეულ შემთხვევაში საერთო ჯამში დაეთმო 5 წუთზე ნაკლები, დიაგრამებზე წარმოდგენილი არ არის.

თვისებრივად მონიტორინგის დროს ყურადღება ექცევა ბალანსს ანუ რამდენად არის სიუჟეტებში წარმოდგენილი გაშუქებული საკითხის გარშემო რამდენიმე განსხვავებული მოსაზრება. ასევე სიზუსტეს, რომლის შესაფასებლადაც მონიტორი აკვირდება, თუ რამდენად შესაბამისია ერთმანეთთან ჟურნალისტის დასკვნა და სიუჟეტში გამოყენებული მასალები (კადრები, რესპონდენტების კომენტარები), არის თუ არა შეცდომები სახელწოდებებში, რიცხვებში, რესპონდენტების ვინაობაში. ხდება დაკვირვება, რამდენად ეხება სიუჟეტი რაიმე კონკრეტულ ფაქტს და არის თუ არა სიუჟეტში მოყვანილი ამ ფაქტის დამადასტურებელი კადრები/კომენტარები.

მონიტორინგი ყურადრებას აქცევს საინფორმაციოებში კადრებითა და მუსიკით მანიპულირების შემთხვევებს. ითვლება, რომ მოახდინეს კადრებითა და მუსიკით მანიპულირება მაშინ, როცა სიუჟეტში გამოყენებული კადრები, ფოტოები ისეა წარმოდგენილი და თან დაჰყვება ისეთი მუსიკა, რომელიც გარკვეულ განწყობას ქმნის და იწვევს მკვეთრად დადებით ან უარყოფით ასოციაციებს.

ამ კომპონენტებზე დაყრდნობით წარმოდგენილია 11 მაისიდან 15 აგვისტომდე პერიოდის საინფორმაციო გამოშვებების მონიტორინგის შედეგები არხების მიხედვით. რაოდენობრივ ნაწილში სუბიექტებისთვის დათმობილი დროის შეჯამება მოიცავს 11 მაისიდან 15 აგვისტომდე პერიოდს, ხოლო სუბიექტების გაშუქების ტონი - 19 ივნისიდან 15 აგვისტომდე პერიოდს მეთოდოლოგიაში შეტანილი მცირე ცვლილებების გამო.

პირველი არხი

პირველ არხზე სუბიექტებისთვის დათმობილი დრო, რომელმაც ჯამში შეადგინა 28 საათი და 5 წუთი, საკმაოდ თანაბრად არის გადანაწილებული და პროცენტულ მაჩვენებლებს შორის დიდი განსხვავებები არ არის. ნეიტრალური და აღწერილობითი ხასიათისაა პირველ არხზე გასული სიუჟეტების სათაურები. სიუჟეტები უმეტესად ნეიტრალურ შთაბეჭდილებას ტოვებს სიუჟეტში წარმოდგენილი სუბიექტების მიმართ. თუმცა, მონიტორინგის მთლიანი პერიოდის განმავლობაში გვხვდებოდა შემთხვევები, როცა სიუჟეტებიდან საერთო შთაბეჭდილება დადებითისკენ იქმნებოდა პრეზიდენტისა და ხელისუფლების სხვა წარმომადგენლების მიმართ. დადებითი ზოგადი შთაბეჭდილება ძირითადად გამოწვეულია სუბიექტების პირაპირი საუბრით და ნაჩვენები კადრებით. სიუჟეტში წარმოდგენილი რესპონდენტების მხრივ, პირველ არხზე სიუჟეტები ძირითადად დაბალანსებულია. რაც შეეხება სიუჟეტში ჟურნალისტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის ფაქტებით გამყარებას, პირველ არხზე სიუჟეტებში ასეთი ფაქტები ყოველთვის მოცემულია.

მონიტორინგის მთლიან პერიოდში (11 მაისი - 15 აგვისტო) პირველ არხზე სუბიექტებისთვის დათმობილი დრო, რომელმაც ჯამში შეადგინა 28 საათი და 5 წუთი, საკმაოდ თანაბრად არის განაწილებული და პროცენტულ მაჩვენებლებს შორის დიდი განსხვავებები არ არის. პირველ ადგილას დგას კოალიცია ქართული ოცნება, რომელსაც სუბიექტებისთვის დათმობილი მთლიანი დროის 20 პროცენტი დაეთმო. პირველ ხუთეულში კოალიციასთან ერთად ასევე არიან: პრეზიდენტი, მთავრობა, ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა და ახალი მემარჯვენეები, რომელთა პროცენტულ მაჩვენებლებს შორის მხოლოდ მცირედი განსხვავებაა. პრეზიდენტი - 14%, მთავრობა - 11%, ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა - 10% და ახალი მემარჯვენეები - 9%. დანარჩენ სუბიექტებს კი დროის 5 პროცენტი ან ნაკლები დაეთმო. (იხ. დიაგრამა Time 1)

პირდაპირი და ირიბი საუბრის მხრივ იმ სუბიექტებთან, რომლებსაც საერთო ჯამში ერთ საათზე მეტი დრო დაეთმო, პირდაპირი საუბრის წილი ყველგან 54 პროცენტზე მეტია მთავრობის გარდა, რომელსაც დათმობილი დროის მხოლოდ 37 პროცენტის შემთხვევაში მიეცა პირდაპირი საუბრის საშუალება. პროცენტული მაჩევნებლების მიხედვით ყველაზე მეტი პირდაპირი საუბარი დაუფიქსირდა ქრისტიან-დემოკრატიულ მოძრაობასა (71%) და ახალ მემარჯვენეებს (72%). (იხ. დიაგრამა Speech 1)

სუბიექტებისთვის დათმობილი დროის ტონის მიხედვით შეფასებისას გამოვლინდა, რომ საერთო ჯამში პირველ არხზე ყველაზე მეტი დადებითი ტონი აქვს პრეზიდენტს (62%), შემდეგ კი მთავრობას (23%) და ქრისტიან-დემოკრატიულ მოძრაობას (16%). დადებითი ტონით ასევე გაშუქდნენ კოალიცია ქართული ოცნება და ახალი მემარჯვენეები, მაგრამ მათ მხოლოდ 4 და 5 პროცენტი დადებითი ტონით გაშუქება დაუფიქსირდათ (კოალიცია ქართული ოცნება 4%, ახალი მემარჯვენეები 5%). რაც შეეხება უარყოფით ტონს, 19 ივნისიდან 15 აგვისტოს ჩათვლით პერიოდში ყველაზე მეტი უარყოფითი ტონი აქვს მთავრობას (11%). უარყოფითი ტონით გაშუქდნენ ასევე კოალიცია ქართული ოცნება (5%), პრეზიდენტი (5%) და ერთიანი ნაციონალური მოძრაობა (8%) (იხ. დიაგრამა Tone 1).

რაც შეეხება ჟურნალისტის ტონს, ყველაზე თვალში საცემია პრეზიდენტის მიმართ გამოვლენილი დადებითი გაშუქების წილი, რომელიც შეადგენს 35 პროცენტს. აღსანიშნავია,

რომ ყველა დანარჩენი სუბიექტის მიმართ პირველ არხზე ჟურნალისტის ნეიტრალური ტონის წილი 96 პროცენტზე დაბალი არ არის. დადებითი ტონი ასევე გამოვლინდა მთავრობისა (5%) და ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის (2%) შემთხვევაში. უარყოფითი ტონი მხოლოდ ორ სუბიექტს დაუფიქსირდა: კოალიცია ქართულ ოცნებას (4%) და მთავრობას (2%). (იხ. დიაგრამა Tone J1)

მონიტორინგის პერიოდში პირველ არხზე გასული სიუჟეტების სათაურები ნეიტრალური და აღწერილობითი ხასიათისაა.

სიუჟეტში წარმოდგენილი რესპონდენტების მხრივ, პირველ არხზე სიუჟეტები ძირითადად დაბალანსებულია და წარმოდგენილია სხვადასხვა მოსაზრება გაშუქებული საკითხის გარშემო. მონიტორინგის პირველ ნახევარში შეიმჩნევა სიუჟეტები, სადაც რჩება იმის შეგრძნება, რომ საკითხზე სრული სურათის შექმნისთვის საჭიროა მეორე მხარის კომენტარებიც. მაგალითად, 9 ივნისის სიუჟეტში „დემოგრაფიული პოლიტიკა“ წარმოდგენილია პოლიტიკური პარტიების მოსაზრებები დემოგრაფიულ საკითხებთან დაკავშირებით და არ არის უმრავლესობის არც ერთი წარმომადგენელი. 19 ივნისის სიუჟეტში „ძველი თბილისის ახალი სიცოცხლე“ არ არის წარმოდგენილი სამშენებლო კომპანიების წარმომადგენლის კომენტარი. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ივნისის ბოლოდან ასეთი შემთხვევები ნაკლებად ფიქსირდება.

ზოგადად, სუბიექტების საარჩევნო კამპანიების აქტიურ ფაზაში შესვლასთან ერთად გახშირდა სიუჟეტები, სადაც აღწერილია ამ სუბიექტების ერთი კონკრეტული ქმედება (მაგ.: ვიზიტი რეგიონში, განცხადება და ა.შ.). ეს სიუჟეტები ძირითადად გაერთიანებულია რუბრიკაში „საარჩევნო ქრონიკა“, სადაც საარჩევნო სუბიექტების კამპანიის ღონისძიებები შუქდება. ასეთ სიუჟეტებში მხოლოდ ერთი წყარო ან ერთი მხარეა წარმოდგენილი. მიუხედავად ამისა, რთულია ბალანსზე საუბარი, რადგან უმეტესად მოკლე სიუჟეტებია და გაშუქებულია ერთი კონკრეტული პარტიის/სუბიექტის წინასაარჩევნო აქტივობა.

მონიტორინგი სიუჟეტებს აკვირდება მთლიანობაშიც და აღრიცხავს სიუჟეტების ზოგად შთაბეჭდილებას რომელიმე სუბიექტის მიმართ. აღსანიშნავია, რომ პირველ არხზე

სიუჟეტები უმეტესად ნეიტრალურ შთაბეჭდილებას ტოვებს სიუჟეტში წარმოდგენილი სუბიექტების მიმართ. თუმცა, მონიტორინგის მთლიანი პერიოდის განმავლობაში გვხვდებოდა შემთხვევები, როცა სიუჟეტებიდან საერთო შთაბეჭდილება დადებითისკენ იქმნებოდა პრეზიდენტისა და ხელისუფლების სხვა წარმომადგენლების მიმართ. აღსანიშნავია, რომ ივლისის ბოლოდან იმატა ასეთი საერთო შთაბეჭდილების მქონე სიუჟეტებმა. აქვე საინტერესოა, რომ დადებითი ზოგადი შთაბეჭდილება ძირითადად გამოწვეულია სუბიექტების პირაპირი საუბრით და ნაჩვენები კადრებით. მაგალითად, 16 ივლისის სიუჟეტი „სადაზღვევო ბარათები", სადაც ნაჩვენებია, როგორ გულთბილად ართმევს ხელს სააკაშვილი პენსიონერს და როგორ უხდის პენსიონერი მას მადლობას.

24 ივლისის სიუჟეტი „პრეზიდენტი გურიასა და სამეგრელოში"[2] გაგრძელდა 5 წუთი და 37 წამი. აქედან 2 წუთი და 20 წამი პრეზიდენტი საუბრობს თვითონ. ამასთან, სიუჟეტში იყო მომენტები, როდესაც ჟურნალისტი ნეიტრალურად საუბრობდა, თუმცა ფონად გადიოდა ძალიან დადებითი კადრები. სიუჟეტის დასაწყისში ნაჩვენებია როგორ გადასცა სტიქიით დაზარალებულებს სახლი პრეზიდენტმა; ამის შემდეგგ ნაჩვენებია როგორ ათვალიერებს სხვადასხვა პუნქტებს, ხვდება ხალხს. ხალხი სკანდირებს „მიშა მიშა". სიუჟეტში ასევე გაიხსენეს ძველი კადრები, სამეგრელოში სტიქიის დროს ხალხთან ერთად როგორ მოდის სააკაშვილი მუხლებამდე წყალში. სიუჟეტის ბოლოს ნაჩვენებია, რომ პრეზიდენტი მივიდა ავერსის კლინიკაში, ხელში უჭირავს ახალშობილი და ეფერება. სიუჟეტი მთავრდება იმით, რომ სააკაშვილი მოდის, გარშემო ბევრი ხალხია, სკანდირებენ, სააკაშვილი ეფერება ბავშვებს, ხალხს ხელს ართმევს და ა.შ.

7 აგვისტოს სიუჟეტში „პატივი გმირებს" ნაჩვენებია, როგორ ეხვევა პრეზიდენტი აგვისტოს ომში დაღუპულთა ოჯახის წევრებს. მას თვალზე ცრემლები აქვს. ოჯახის წევრები მადლობას უხდიან სააკაშვილსა და მთავრობას, რომ დადგინდა მათი შვილის ვინაობა დნმ-ის ანალიზის შედეგად.

მონიტორინგის დროს სხვადასხვა პერიოდში დაფიქსირდა სიუჟეტები, სადაც ზოგადი შთაბეჭდილება უარყოფითისკენ იხრებოდა სხვადასხვა სუბიექტების: ადგილობრივი

[2] იხ. სიუჟეტი შემდეგ ბმულზე: http://www.youtube.com/watch?v=2mAF2mX9qsk&feature=youtu.be

თვითმმართველობა, კოალიცია ქართული ოცნება, პრეზიდენტი, მთავრობა) მიმართ. მაგალითად, 23 ივნისის სიუჟეტში „საარჩევნო მოამბე“ უარყოფითად წარმოჩინდა ადგილობრივი თვითმმართველობა. 12 ივლისის სიუჟეტში „ლეიბორისტული პარტიის ბრიფინგი“ პაატა ჯიბლაძე უარყოფითად საუბრობს ივანიშვილზე, ასევე ხელისუფლებაზე და უარყოფით შთაბეჭდილებას ქმნის მათზე. 3 აგვისტოს სიუჟეტი „პრეზიდენტი ფოთსა და სვანეთში“ პრეზიდენტმა უარყოფითად ისაუბრა კოალიცია ქართულ ოცნებაზე. მან მათ „პუწინისტების ჯგუფი“ უწოდა. ამასთან, პრეზიდენტის ამ ნათქვამს მოსდევს მოსახლეობის კადრები, სადაც ზოგიერთი მათგანი იღიმება, რამაც ცინიკა უფრო გაამძაფრა. პრეზიდენტი აგრეთვე ამბობს, „ნგრევის მოციქულები“ ვერაფერს ვერ დაანგრევენ. ამას ისევ მოსახლეობის კადრი მოჰყვა, სადაც ქალბატონი თანხმობის ნიშნად თავს უქნევდა პრეზიდენტს.

რაც შეეხება სიუჟეტში ჟურნალისტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის ფაქტებით (რესპონდენტის კომენტარი, კადრები, გაჟღერებული ინფორმაციის წყაროს მითითება) გამყარებას, პირველ არხზე სიუჟეტებში ასეთი ფაქტები თითქმის ყოველთვის მოცემულია. იშვიათად გვხვდება სიუჟეტები, სადაც ჟურნალისტის დასკვნა არ შეესაბამება სიუჟეტში წარმოდგენილ მასალას. ასეთი შემთხვევები უფრო მეტად ფიქსირდებოდა მაისი-ივნისის პერიოდში.

მაგალითად, 8 ივნისის სიუჟეტში კონტროლის პალატის გადაწყვეტილების შესახებ, ჟურნალისტის თქმით, კონტროლის პალატა ამბობს, რომ ივანიშვილის მხრიდან მოსყიდვის რამდენიმე ფაქტს ჰქონდა ადგილი და პალატა ავრცელებს მასალას, რომლის მიხედვითაც შპს ელიტ ბურჯზე დარეგისტრირებული 239 ავტომანქანა სიმბოლურ ფასად ემსახურებოდა ქართული ოცნების საარჩევნო კამპანიას. თუმცა, მსგავს რამეს არ ადასტურებს კონტროლის პალატის წარმომადგენლის კომენტარი და ასევე არავითარი ოფიციალური დოკუმენტი ან მასალა არაა ნაჩვენები.

შეუსაბამობის მეორე მაგალითია 14 ივნისის სიუჟეტი ციხეებში არჩევნების ჩატარების გადაწყვეტილებაზე. სიუჟეტის დასაწყისში ჟურნალისტი ამბობს რომ <u>ყველა პარტია</u> ამბობს და თანხმდება, რომ ეს წინგადადგმული ნაბიჯია და ასევე <u>ყველა</u> თანხმდება იმაზე, რომ აუცილებელია იქ იყვნენ საერთაშორისო დამკვირვებლები. სიუჟეტიდან გამომდინარე ეს არ

შეესაბამება სიმართლეს. დამკვირვებლებზე და ამ გადაწყვეტილების სისწორეზე მხოლოდ დავით გამყრელიძე საუბრობს, ხოლო გურამ ჩახვაძე მხოლოდ გადაწყვეტილების მნიშვნელობას უსვამს ხაზს და არ ახსენებს დამკვირვებლებს. სიუჟეტში რესპონდენტებად ასევე წარმოდგენილნი არიან ლევან ვეფხვაძე, ზაქარია ქუცნაშვილი და სოზარ სუბარი. არცერთი მათგანი არ საუბრობს არც გადაწყვეტილების მნიშვნელობაზე და მის დადებით მხარეზე და არც დამკვირვებლების აუცილებლობაზე. პირიქით, ვეფხვაძე შესაძლო რისკებსა და ზეწოლაზე საუბრობს, ხოლო სოზარ სუბარი პირდაპირ ნეგატიურად საუბრობს ერთიან ნაციონალურ მოძრაობაზე. აქედან გამომდინარე ჟურნალისტის პირველივე წინადადება არის შეცდომაში შემყვანი და წინასწარ ქმნის სხვანაირ განწყობას რაც სიმართლეს არ შეესაბამება.

რუსთავი 2

მთელი მონიტორინგის პერიოდში რუსთავი 2-ზე ყველა სუბიექტს ჯამში 32 საათი და 23 წუთი დაეთმო. გამოვლინდა 3 ძირითადი სუბიექტი: პრეზიდენტი, მთავრობა და კოალიცია ქართული ოცნება, რომელთაც სხვა სუბეიქტებთან შედარებით ყველაზე მეტი დრო დაეთმოთ. ყველაზე მეტი პირდაპირი საუბრის წილი პრეზიდენტის შემთხვევაში დაფიქსირდა. სიუჟეტები, რომელთა საერთო შთაბეჭდილება დადებითისკენ იხრება, ეხება უმეტესად პრეზიდენტსა და მთავრობას ან ქრისტიან-დემოკრატიულ მოძრაობას. რაც შეეხება სიუჟეტებს, რომელთა საერთო შთაბეჭდილება უარყოფითისკენ იხრება, ისინი უფრო ხშირად ეხება ბიძინა ივანიშვილსა და კოალიცია ქართულ ოცნებას. გვხვდება სიუჟეტები, სადაც აშკარაა შეუსაბამობა ჟურნალისტის ნათქვამსა და სიუჟეტში წარმოდგენილ მასალას შორის.

მთელი მონიტორინგის პერიოდში (11 მაისი - 15 აგვისტო) რუსთავი 2-ზე ყველა სუბიექტს ჯამში 32 საათი და 23 წუთი დაეთმო. აქედან გამოვლინდა 3 ძირითადი სუბიექტი, რომელთაც სხვა სუბეიქტებთან შედარებით ყველაზე მეტი დრო დაეთმო. ამ სამეულში მოხვდნენ: პრეზიდენტი (29%), მთავრობა (20%) და კოალიცია ქართული ოცნება (17%).

ქრისტიან-დემოკრატიულ მოძრაობას დაეთმო დროის 9%, ყველა დანარჩენ სუბიექტს კი - 5 პროცენტი ან ამაზე ნაკლები. (იხ. დიაგრამა Time 2).

პირდაპირი და ირიბი საუბრის მხრივ ყველაზე მეტი პირდაპირი საუბრის წილი პრეზიდენტის შემთხვევაში დაფიქსირდა. მონიტორინგის მთლიან პერიოდში პრეზიდენტისთვის დათმობილი 9 საათ-ნახევრიდან 73 პროცენტი პირდაპირი საუბრის წილია. დანარჩენი სუბიექტების შემთხვევაში, რომელთაც საერთო ჯამში 40 წუთზე მეტი დრო დაეთმო, პირდაპირი საუბრის წილი 45 პროცენტზე დაბალი არ არის. გამონაკლისია მხოლოდ კოალიცია ქართული ოცნება. კოალიციას რუსთავი 2-ზე პირდაპირი საუბრის შესაძლებლობა, მისთვის დათმობილი 5 საათ-ნახევრიდან, მხოლოდ 36% შემთხვევაში ჰქონდა. (იხ. დიაგრამა Speech 2)

სუბიექტებისთვის დათმობილი დროის ტონით შეფასებას რაც შეეხება, გვხვდება დადებითი და უარყოფითი ტონების საკმაოდ დიდი წილი. აღსანიშნავია, რომ პრეზიდენტს აქვს დადებითი გაშუქების ყველაზე მაღალი წილი (80 პროცენტი, 5 საათი და 40 წუთიდან) მონიტორინგის ქვეშ მყოფ შვიდივე არხს შორის. დადებითი ტონის მაღალი წილი აქვთ ასევე მთავრობას 50 პროცენტი (5 საათიდან), ქრისტიან-დემოკრატიულ მოძრაობას - 32 პროცენტი (2 საათი და 43 წუთიდან), ერთიან ნაციონალურ მოძრაობას - 19 პროცენტი (დაახლოებით საათ-ნახევრიდან), ასევე ადგილობრივ თვითმმართველობას - 62 პროცენტი (17 წუთიდან). რაც შეეხება უარყოფით ტონს, ყველაზე მეტი უარყოფითი ტონი გამოვლინდა კოალიცია ქართული ოცნების მიმართ, რომელიც დათმობილი 4 საათი და 13 წუთიდან 44 პროცენტის შემთხვევაში უარყოფითად გაშუქდა. (იხ. დიაგრამა Tone 2)

რაც შეეხება ჟურნალისტის ტონის მიხედვით სუბიექტებისთვის დათმობილ დროს, სურათი მსგავსია. ამ შემთხვევაშიც პრეზიდენტს, მთავრობას, ქრისტიან-დემოკრატიულ მოძრაობას და ერთიან ნაციონალურ მოძრაობას ყველაზე მეტი დადებითი ტონი აქვთ (პრეზიდენტი - 62%, მთავრობა - 33%, ქრისტიან-დემოკრატები 20% და ერთიანი ნაციონალური მოძრაობა 12%), კოალიცია ქართული ოცნების შემთხვევაში კი ჟურნალისტის ტონის წილები ნეიტრალურსა და უარყოფს შორის თანაბრად გადანაწილდა, 50-50 პროცენტი. (იხ. დიაგრამა Tone J2).

რუსთავი 2-ზე სიუჟეტების სათაურები უმეტესად ინფორმაციულია და ნეიტრალური. სათაურებში ზოგჯერ შეიმჩნევა მინიშნება უარყოფითი ან დადებითი ტონისკენ. თუმცა, განსაკუთრებით დადებითი ან უარყოფითი ტონის სათაურები არ გამოვლენილა.

რუსთავი 2-ზე მონიტორინგის პერიოდში გამოიკვეთა ტენდენცია, რომ სიუჟეტები, რომელთა საერთო შთაბეჭდილება დადებითისკენ იხრება, ეხება უმეტესად პრეზიდენტსა და მთავრობას ან ქრისტიან-დემოკრატიულ მოძრაობას. აქვე აღსანიშნავია, რომ პრეზიდენტის შესახებ სიუჟეტებში ხშირადაა ნაჩვენები ტაში, სკანდირება, რაც დადებით ფონს ქმნის. რაც შეეხება სიუჟეტებს, რომელთა საერთო შთაბეჭდილება უარყოფითისკენ იხრება, ისინი უფრო ხშირად ეხება ბიძინა ივანიშვილსა და კოალიცია ქართულ ოცნებას.

მაგალითად, 12 ივლისის სიუჟეტი „სარეაბილიტაციო სამუშაოები ქობულეთში“, სადაც პრეზიდენტი ესაუბრება უცხოელ ტურისტს და ბავშვები სკანდირებენ პრეზიდენტის სახელს. იგი ჩერდება ბავშვებთან, ხელს ართმევს და ეხუტება მათ. პრეზიდენტს სანაპიროდან ხელს უქნევენ დამსვენებლები. გარდა ამისა, ჟურნალისტი დადებითად აღწერს რეაბილიტაციის პროცესს, რაც ზოგად დადებით ფონს ქმნის.[3]

6 ივლისის სიუჟეტში „პრემიერმინისტრი თერჯოლაში“ ვანო მერაბიშვილი დადებით კონტექსტშია ნაჩვენები - როგორ ესაუბრება გლეხებს ადგილობრივ პრობლემებზე, როგორ პირდება მათ ხიდის შეკეთებას და ა.შ. განსაკუთრებით აღსანიშნავია მომენტი, როდესაც მერაბიშვილი და ერთ-ერთი გლეხი ხუმრობენ და იქმნება პოზიტიური შთაბეჭდილება პრემიერზე.[4]

23 ივლისის სიუჟეტში „სტიქიიდან 5 დღის შემდეგ“[5] ჩანს, რომ მთავრობა ძალიან ეფექტურად მუშაობს სტიქიის შემდეგ 5 დღის გასვლის შემდეგაც. ეს შესამჩნევია ჟურნალისტის ტექსტშიც და კადრებშიც. ძალიან დადებით შთაბეჭდილებას ქმნის სააკაშვილის ვიზიტი

[3] იხ. სიუჟეტი შემდეგ ბმულზე: http://www.youtube.com/watch?v=TBYBv5ehlyU&feature=youtu.be
[4] იხ. სიუჟეტი შემდეგ ბმულზე: http://www.youtube.com/watch?v=36yUwPF_mDY&feature=youtu.be
[5] იხ. სიუჟეტი შემდეგ ბმულზე: http://www.youtube.com/watch?v=yztxmFucSOs&feature=youtu.be

პატარა ბავშვის დაბადების დღეზე, სადაც ბავშვები იძახიან „მიშა! მიშა!" და ქალბატონი ეხუტება სააკაშვილს. აქვე აღსანიშნავია, რომ ეს ნაწილი სიუჟეტის შინაარსისათვის ცოტა შეუსაბამოა, რადგან სიუჟეტი სტიქიას ეხება და რეალურად სიუჟეტში დიდი დრო ეთმობა პრეზიდენტის ვიზიტს ბავშვის დაბადების დღეზე.

13 აგვისტოს სიუჟეტი პრეზიდენტის ვიზიტზე წყალტუბოსა და ბაღდადში ძალიან დადებითად წარმოაჩენს პრეზიდენტს. იგი ნაჩვენებია ხალხთან ერთად, ყველა ესალმება მას, მადლობას უხდის და აქებს. ისმის ხშირი სკანდირება, უმეტესად ბავშვების ხმა, ტაში; ჩანს დროშების ფრიალი. სააკაშვილის მიმართავს ხალხს და ეკითხება: არის თუ არა საქართველო უკეთესი, ვიდრე 8 წლის წინ იყო. ხალხიც სკანდირებს: არის, არის!

რაც შეეხება ქრისტიან-დემოკრატიულ მოძრაობას, ივლისის დასაწყისიდან, როცა პარტიამ აქტიური წინასაარჩევნო კამპანია დაიწყო, გახშირდა დადებითი საერთო შთაბეჭდილების მქონე სიუჟეტები მათზე. ასევე გამოიკვეთა, რომ ქრისტიან-დემოკრატიულ მოძრაობაზე ხშირად იყო დადებითი სიუჟეტები, რომლებიც შინაარსით ჰგავდა პრეზიდენტის შესახებ სიუჟეტებს. მაგალითად, მაგდა ანიკაშვილისა და ზაზა გაბუნიას ვიზიტი სოციალურად დაუცველ ოჯახებში (6 ივლისი), გიორგი თარგამაძის ვიზიტი კახეთში და ატმის კრეფა (9 ივლისი), თარგამაძის მიერ თელიანში მეფუტკრეების დახმარება (11 ივლისი), მაგდა ანიკაშვილის მიერ ზესტაფონში ძროხის წველა და ხაჭაპურის ცხობა, გიორგი თარგამაძის მიერ ყველის ამოყვანა (12 ივლისი), გიორგი თარგამაძის მიერ ავტობუსის მართვა (13 ივლისი), გიორგი თარგამაძის მიერ გლეხების დახმარება თიბვაში (17 ივლისი), თარგამაძის მიერ სტიქიით დაზარალებულთა დახმარება სარდაფიდან წყლის ხაპვაში და საავადმყოფოში დაზარალებულების მონახულება (20 ივლისი), ბათუმში თარგამაძის გამოსვლა სპორტულ კომპლექსში და მეთევზეებთან ერთად ზღვაში გემით გასვლა (26 ივლისი), მაგდა ანიკაშვილის მიერ პაციენტისთვის ნემსის გაკეთება და ტყემლის ბოთლებში ჩამოსხმა (13 აგვისტო). ყველა ამ სიუჟეტში ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა ძალიან დადებითად იყო წარმოჩენილი.

საინტერესოა, რომ რუსთავი 2-ზე მონიტორინგის მოცემულ პერიოდში გასული უარყოფითი სიუჟეტები უმეტესად კოალიცია ქართულ ოცნებას ეხებოდა. მაგალითად, 11 ივნისის

სიუჟეტი „ქართული ოცნების მაჟორიტარები“, სადაც ჩამოთვლილია მაჟორიტარების სია, მოყვანილია ნეგატიური ფაქტები „პოლიტიკური ისტორიიდან“, თანაც ირონიულ კონტექსტში.

12 ივლისის სიუჟეტში „დაპირისპირება კარალეთში“ აჩვენებენ, თუ როგორ ჩხუბობს და იგინება კოალიციის ერთ-ერთი ლიდერი კახი კალაძე. სიუჟეტში კოალიციაზე უარყოფითად საუბრობს ყველა მოქალაქე. ერთი აგინებს კიდეც მათ. ჟურნალისტის ტონიც ხშირად უარყოფითია და დაპირისპირებაში პირადად კალაძეს და მის მხლებლებს, ასევე კოალიციის წევრებს ადანაშაულებს. ხშირად არის ჩხუბის კადრები, რაც უარყოფით ფონს ქმნის კოალიციის მიმართ მთელი სიუჟეტის მანძილზე.

ბიძინა ივანიშვილის უარყოფითად წარმოჩენის კიდევ ერთი მაგალითია 16 ივლისის სიუჟეტი ივანიშვილის ინიციატივაზე ერგნეთის ბაზრობის აღდგენის შესახებ. სიუჟეტში წარმოდგენილია ერგნეთის ბაზრობის ძველი კადრები და წარმოდგენილია რესპონდენტები, რომლებიც საუბრობენ იმაზე, რომ ერგნეთის ბაზრობა ნარკოტიკებისა, კონტრაბანდისა და კორუფციის პუნქტი იყო. ჟურნალისტიც სიუჟეტის დასაწყისში და სიუჟეტის განმავლობაში ხაზს უსვამს ერგნეთის ბაზრობის უარყოფით მხარეებს. საერთო ჯამში, სიუჟეტიდან გამოდის, რომ ბიძინა ივანიშვილის ინიციატივა მიმართულია იქითკენ, რომ აღადგინოს კორუფცია, კონტრაბანდა და ნარკოტიკების გასაღების ბაზარი, და უარყოფით შთაბეჭდილებას ტოვებს ბიძინა ივანიშვილზე. ამავე სიუჟეტში ჟურნალისტი მკვეთრად უარყოფით შთაბეჭდილებას ქმნის ივანიშვილის მიერ წარდგენილ კანდიდატზე, თამაზ თამაზაშვილის შვილზე, და ხაზს უსვამს კახეთის პოლიციის ყოფილი უფროსის, თამაზაშვილის, კავშირს კორუფციასთან და აღნიშნავს, რომ ის ამჟამად ციხეში იმყოფება და მეორეჯერ იხდის სასჯელს. ამით ივანიშვილის მიმართ ქმნის კიდევ უფრო უარყოფით ფონს.[6]

17 ივლისის სიუჟეტი „ხალხის კრიტიკა“ უარყოფითია ქართული ოცნებისა და გოგა ხაინდრავას მიმართ, რადგან ნათქვამია, რომ გოგა ხაინდრავა არაერთხელ მიმართავს

[6] იხ. სიუჟეტი შემდეგ ბმულზე: http://www.youtube.com/watch?v=yI3137_nukA&feature=youtu.be

მოსახლეობას უცენზურად, ხოლო ქართული ოცნება მოხსენიებულია, როგორც რუსეთის მხარდამჭერი.

აღსანიშნავია 19 ივლისის სიუჟეტი „ახალი შეთავაზება“, სადაც საუბარია ქცევის კოდექსის ინიციატივაზე. სიუჟეტში წარმოდგენილია სხვადასხვა პარტია და არასამთავრობო ორგანიზაცია და ყველა ეს სუბიექტი ნეიტრალურადაა გაშუქებული, გარდა კოალიცია ქართული ოცნებისა, რომლის გაშუქებაც უარყოფითისკენ იხრება. ამასთან, ჟურნალისტის ტექსტის ფონად ნაჩვენებია კარალეთში მომხდარი ინციდენტის კადრები, სადაც კახი კალაძე იგინება. ამავე თემაზე 24 ივლისს გავიდა სიუჟეტი „ქცევის კოდექსი“, რომელშიც კოალიცია ისევ უარყოფითადაა გაშუქებული. ჟურნალისტი ამბობს, რომ ქცევის კოდექსს ყველა პარტიამ მოაწერა ხელი ქართული ოცნების გარდა.

23 ივლისის სიუჟეტი „კბილაშვილის სკანდალური ინტერვიუ“ ძალიან ტენდენციური და ნეგატიურია კოალიციის ორი წევრის მიმართ (ზაქარეიშვილი და კბილაშვილი). სიუჟეტი 8 წუთზე მეტ ხანს გრძელდება და თითქმის მთლიანად ნეგატიურია ქართული ოცნების სუბიექტების მიმართ. ნეგატიურ შთაბეჭდილებას ასევე ისიც ქმნის, რომ სიუჟეტში 9 მოქალაქის ინტერვიუა წარმოდგენილი და მათი აზრი ეწინააღმდეგება კოალიციის წევრების მიერ გაკეთებულ შეფასებებს. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ სიუჟეტის მთავარი დანიშნულება არის ის, რომ მაყურებელს შეექმნას ცუდი შთაბეჭდილება კოალიციისა და რუსეთის დადებით ურთიერთობაზე.

6 აგვისტოს სიუჟეტი „ბოდიში აბაშიძის რეჟიმს“ იწყება კოალიცია ქართული ოცნების მაჟორიტარობის კანდიდატის მურმან დუმბაძის მიერ ერთ-ერთი გაზეთისთვის მიცემული ინტერვიუთი, სადაც ის ამბობს, რომ ბოდიში უნდა მოუხადონ ასლან აბაშიძის რეჟიმს, რადგან უფრო უარესი რეჟიმი დამყარდა. ამის შემდეგ გადის არქივის კადრები, სადაც ჩანს, როგორ გადაკეტეს აჭარის საზღვრები და ხალხს არ უშვებდნენ აჭარაში. ჟურნალისტი ხაზს უსვამს, რომ აბაშიძის მმართველობის დროს აჭარა დანარჩენი საქართველოსგან იყო მოწყვეტილი. არქივის კადრებში ასევე ნაჩვენებია დავით ბერძენიშვილი და კობა დავითაშვილი, რომლებიც მაშინ იბრძოდნენ აბაშიძის რეჟიმის წინააღმდეგ. ახლა კი ისინი იმ კოალიციის წევრები არიან, რომელიც აჭარის ძველი რეჟიმის ნოსტალგიას განიცდის.

მონიტორინგის პერიოდში რუსთავი 2-ის სიუჟეტებში გვხვდება კადრებით მანიპულირების შემთხვევები: არქივიდან მასალის ჩვენება ისეთ კონტექსტში, რასაც სიუჟეტში გადმოცემული ამბავი კონკრეტული დასკვნის გაკეთებისკენ მიყავს ან მაყურებელს დადებით/უარყოფით შთაბეჭდილებას უქმნის რომელიმე სუბიექტზე.

კადრებით მანიპულირების თვალსაზრისით აღსანიშნავია 22 მაისის სიუჟეტი „ივანიშვილი და მშვიდობის ხიდი". სიუჟეტი ეხება ბიძინა ივანიშვილის დამოკიდებულებას მშვიდობის ხიდის მიმართ. ჯერ ნაჩვენებია მშვიდობის ხიდის კადრები, თუ როგორ იყენებენ მას სხვადასხვა ღონისძიებებისთვის: პოდიუმი, გამოფენა, საქორწილო სურათები. შემდეგ კი ჟურნალისტი ამბობს, რომ ივანიშვილის განცხადებამ ექსპერტებს ერთ-ერთი ცნობილი ადამიანი და ხიდი გაახსენა. იგულისხმება ასლან აბაშიძე და ჩოლოქის ხიდი 2004 წელს. ამ დროს აჩვენებენ კიდეც ჩოლოქის ხიდის აფეთქების კადრებს, რაც საერთო ჯამში უარყოფით შთაბეჭდილებას ტოვებს ბიძინა ივანიშვილზე.[7]

სიუჟეტების ზოგად შთაბეჭდილებასთან, კადრებთან და რესპონდენტების კომენტარებთან ერთად ხშირად ჟურნალისტების ტექსტიც ქმნიდა დადებით ან უარყოფით ფონს. მაგალითები:

- ჟურნალისტი: „ბიძინა ივანიშვილი პარალელურ სტრუქტურებს ქმნის და ჩნდება ეჭვი, რომ არჩევნების არასასურველად დასრულების შემთხვევაში მათი მეშვეობით შეეცდება საპროტესტო ტალღის აგორებას". (17 ივლისი, სიუჟეტი „პარალელური პოლიტიკა")
- ჟურნალისტი: „ქალბატონი, რომელიც ორი წლის წინ პრეზიდენტს შვილიშვილისთვის კომპიუტერს სთხოვდა, ამ დღეებში ინციდენტის მიზეზი გახდა, რომელსაც მიხეილ სააკაშვილი მყისიერად გამოეხმაურა." (25 ივლისი, სიუჟეტი „პრეზიდენტი სამეგრელოში")
- ჟურნალისტი: „კაპიტან გიორგი თარგამაძის განკარგულებაში შტურვალი ნახევარი საათის განმავლობაში იყო." (26 ივლისი, სიუჟეტი „შეხვედრა ბათუმში")
- ჟურნალისტი: „კოალიციის ფავორიტი დღეს ნოსტალგიას იმ რეჟიმის მიმართ არ მალავდა, რომელსაც წლების განმავლობაში აჭარა დანარჩენი საქართველოსგან ბეტონის ჯებირებით ჰქონდა განცალკევებული." (6 აგვისტო, სიუჟეტი „ბოდიში აბაშიძის რეჟიმს")

[7] იხ. სიუჟეტი შემდეგ ბმულზე: http://www.youtube.com/watch?v=30Sw9u335JA&feature=youtu.be

- ჟურნალისტი: „ქართული ოცნების ლიდერი ხსოვნის კვირეულს მხოლოდ წერილობით გამოეხმაურა. განცხადება ფეისბუქის გვერდზე ტრადიციული შეცდომებით დაიდო.“ (9 აგვისტო, სიუჟეტი „ივანიშვილის ორდღიანი დუმილი“)

რაც შეეხება შეუსაბამობას ჟურნალისტის ნათქვამსა და სიუჟეტში წარმოდგენილი რესპონდენტების კომენტარებსა და ვიზუალურ მასალას შორის, გვხვდება სიუჟეტები, სადაც ეს შეუსაბამობები აშკარაა. მაგალითად, 9 ივნისის სიუჟეტში „ოცნების ყუთები“ ჟურნალისტი ამბობს, რომ „სურვილები ტექნიკის ჩამონათვალით, ქართული ოცნების წესების თანახმად, მხოლოდ აქციაზე მისვლის სანაცვლოდ სრულდება“. ეს მოსაზრება არ არის გამყარებული არც რომელიმე სუბიექტის სიტყვებით, არც რაიმე დამადასტურებელი ვიზუალური მასალით.

26 ივნისის საკმაოდ ვრცელი სიუჟეტი ბაგრატის ტაძრის რესტავრაციის შესახებ, სადაც სიუჟეტის ბოლოს ჟურნალისტი ამბობს: „იუნესკოს ერთ-ერთმა ექსპერტმა საკმაოდ ზერელე და არაკვალიფიციური დასკვნა მოამზადა მის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით...“ თუმცა, სიუჟეტში არც ერთ რესპონდენტს არ შეუფასებია იუნესკოს დასკვნა და არც ჟურნალისტი აკონკრეტებს, ვის ეკუთვნის ასეთი შეფასება. გამოდის, რომ მან საკუთარი მოსაზრება გამოთქვა.

6 აგვისტოს სიუჟეტში „პრეზიდენტი ოლიმპიელის ოჯახში“ დაფიქსირდა შეუსაბამობა სათაურსა და სიუჟეტის შინაარსს შორის. მთელი სიუჟეტი მოგვითხრობს პრეზიდენტ სააკაშვილის ვიზიტზე კარალეთში და მოსახლეობასთან შეხვედრაზე. ნაჩვენებია მისი სიტყვით გამოსვლაც. არაა ნაჩვენები და არსადაა ნახსენები, რომ იგი ოლიმპიელის ოჯახს ესტუმრა.

ჟურნალისტის დასკვნასა და სიუჟეტში წარმოდგენილ მასალას შორის შეუსაბამობის გარდა თვისებრივ ნაწილში მონიტორინგი აკვირდება, არის თუ არა გადმოცემული ინფორმაცია გამყარებული ფაქტებით. ამ მხრივ საინტერესოა 20 ივნისის სიუჟეტი „კალაძის საიდუმლო შეხვედრა“, რომელიც მოგვითხრობს კახა კალაძის „ფარულ“ შეხვედრაზე კანონიერ ქურდებთან ევროპის ერთ-ერთი ქალაქის „ფეშენებელურ“ რესტორანში. სიუჟეტის

დასაწყისშიც და დასკვნაშიც ჟურნალისტები კალაძის შეხვედრას მაყურებელს ისე აწვდიან, როგორც ფაქტს. თუმცა, სიუჟეტიდან არ ჩანს, რა არის ინფორმაციის წყარო. ჟურნალისტი რამდენჯერმე იმეორებს ფრაზას „რუსთავი 2-ის ინფორმაციით“. ნაჩვენებია რესტორანში გადაღებული კადრები, სადაც ბუნდოვნად ჩანს კახი კალაძე, მაგრამ არ ჩანს არცერთი კანონიერი ქურდი, რომლის შესახებაც შემდეგ ყვება ჟურნალისტი. კანონიერი ქურდების შესახებ მოწოდებული დოსიე და კადრები ძალიან უარყოფით შთაბეჭდილებას ახდენს მაყურებელზე, თუმცა კავშირი კალაძესთან არაფრით მტკიცდება. ჟურნალისტი კალაძის დასწრებას „ფარულ“ შეხვედრაზე იმით ამყარებს, რომ ის ავიაკომპანია ლუფთანზას რეისით 12 ივნისს საქართველოდან გაფრინდა და 14 ივნისს დაბრუნდა. თუმცა, არც ამ ინფორმაციის დამადასტურებელი წყაროა მოყვანილი. სიუჟეტში წარმოდგენილია 3 რესპონდენტი: ვიქტორ დოლიძე, ეკა ბესელია, ვახტანგ ხმალაძე. არც ერთი მათგანი არ ადასტურებს შეხვედრის ფაქტს და კალაძის კავშირს კანონიერ ქურდებთან. სიუჟეტის ბოლოს კალაძე ასევე უარყოფითად ნახსენებია იტალიური საფეხბურთო სკანდალის კონტექსტში და ნავარაუდევია, რომ შეხვედრის ერთ-ერთი თემა ეს სკანდალია. სიუჟეტში გამოყენებული კადრებიცა და გადმოცემული ინფორმაციაც საერთო ჯამში ძალიან უარყოფით შთაბეჭდილებას ტოვებს კახი კალაძეზე, რომელიც ნახსენებია, როგორც ქართული ოცნების ერთ-ერთი ლიდერი და მაჟორიტარობის კანდიდატი. თუმცა, მთელი ეს ინფორმაცია არ არის გამყარებული ფაქტებით.[8]

რაც შეეხება სიუჟეტებში სხვადასხვა მხარისა და მოსაზრების წარმოჩენას, მონიტორინგის პერიოდში უმეტესად სიუჟეტები დაბალანსებულია. თუმცა, სიუჟეტებში კოალიცია ქართული ოცნების შესახებ უფრო მეტად შეინიშნება კოალიცია ქართული ოცნების წარმომადგენლების კომენტარების ნაკლებობა. ხოლო სიუჟეტებში სამთავრობო პროგრამებისა და პრეზიდენტის აქტივობების შესახებ, ნაკლებადაა წარმოდგენილი საწინააღმდეგო მოსაზრება.

[8] http://www.youtube.com/watch?v=IAMSWo-YFtU&feature=youtu.be

იმედი

მთელი მონიტორინგის პერიოდში იმედზე სუბიექტებს ჯამში შვიდ არხს შორის ყველაზე 36 საათი და 39 წუთი დაეთმო. შეჯამებული შედეგებით იმედისა და რუსთავი 2-ის შემთხვევაში სუბიექტებს შორის დროის გადანაწილება საკმაოდ მსგავსია. პირველ სამეულშიც იგივე სუბიექტები მოხვდნენ: პრეზიდენტი, მთავრობა და კოალიცია ქართული ოცნება. დადებითი სიუჟეტები ძირითადად პრეზიდენტზე და მთავრობაზეა, ასევე ქრისტიან-დემოკრატიულ მოძრაობაზე, ხოლო უარყოფითი სიუჟეტები - უმეტესად კოალიცია ქართულ ოცნებაზე და მის წევრებზე. გვხვდება სიუჟეტების უარყოფითი ან დადებითი შინაარსის მქონე სათაურები. სიუჟეტები მათში წარმოდგენილი რესპონდენტების მიხედვით მეტ-ნაკლებად დაბალანსებულია. დაუბალანსებელ სიუჟეტებში ძირითადად იგრძნობა კოალიცია ქართული ოცნების წარმომადგენლების კომენტარების საჭიროება. რაც შეეხება შეუსაბამობას ჟურნალისტის დასკვნასა და სიუჟეტში წარმოდგენილ ფაქტებს შორის, მონიტორინგის პერიოდში ასეთი შემთხვევები გამოვლინდა.

მთელი მონიტორინგის პერიოდში იმედზე სუბიექტებს ჯამში 36 საათი და 39 წუთი დაეთმო, რაც მონიტორინგის ქვეშ მყოფ შვიდ არხს შორის ყველაზე მეტია. შეჯამებული შედეგებით იმედისა და რუსთავი 2-ის შემთხვევაში სუბიექტებს შორის დროის განაწილება საკმაოდ მსგავსია. ისევე, როგორც რუსთავი 2-ზე, იმედზეც ყველაზე მეტი დრო, იგივე თანმიმდევრობით, დაეთმო პრეზიდენტს - 28 პროცენტი, მთავრობას - 20 პროცენტი და კოალიცია ქართული ოცნებას - 16 პროცენტი. დათმობილის დროის მიხედვით აქაც მეოთხე ადგილასაა ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა (10%). დანარჩენ სუბიექტებს კი დროის 5 პროცენტი ან ნაკლები დაეთმო. (იხ. დიაგრამა Time 3)

პირდაპირი და ირიბი საუბრის მხრივაც რუსთავი 2-სა და იმედის მონაცემები საკმაოდ მსგავსია. დათმობილი დროის მიხედვით (10 საათი და 11 წუთი) პირველ ადგილას მყოფ პრეზიდენტს პირდაპირი საუბრის წილის ყველაზე მაღალი, 71 პროცენტი აქვს. ასევე მაღალი პირდაპირი საუბრის წილი აქვს ერთიან ნაციონალურ მოძრაობას - 70 პროცენტი (თითქმის 2 საათიდან). სხვა სუბიექტებს, რომელტაც 50 წუთზე მეტი დრო დაეთმოთ პირდაპირი

საუბრის წილი 42 პროცენტზე დაბალი არ აქვთ, კოალიცია ქართული ოცნების გარდა. კოალიციას, რომელიც დათმობილი დროსი მხრივ მესამე ადგილასაა (6 საათი და 2 წუთი) პირდაპირი საუბრის მხოლოდ 32 პროცენტი დაუფიქსირდა. (იხ. დიაგრამა Speech 3)

რაც შეეხება ტონის მიხედვით სუბიექტებისთვის დათმობილი დროის განაწილებას, რუსთავი 2-ის მონაცემეთან მსგავსება ისევ შეინიშნება. ზოგ სუბიექტთან მიმართებაში გამოვლინდა დადებითი და უარყოფითი ტონის საკმაოდ დიდი წილი. პრეზიდენტისთვის დათმობილი დროიდან (6 საათნახევრაზე მეტი) 78 პროცენტი დადებითად გაშუქდა. მთავრობის შემთხვევაში დათმობილი დროის (6 საათი და 8 წთ) 46 პროცენტი დადებითი ტონით გაშუქდა, ხოლო ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის შემთხვევაში გამოვლინდა 39 პროცენტი დადებითი ტონი (დათმობილი თითქმის 3 საათიდან). დადებითი ტონი დაფიქსირდა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის შემთხვევაშიც (14% 1 საათი და 38 წუთიდან). რაც შეეხება უარყოფით ტონს, ყველაზე მეტი უარყოფითი ტონის წილი დაუფიქსირდა კოალიცია ქართულ ოცნებას, რომელიც დათმობილი დროის მიხედვით მესამე ადგილას დგას (4 საათი და 44 წუთი) - 37 პროცენტი. (იხ. დიაგრამა Tone 3)

რაც შეეხება ჟურნალისტის ტონის მიხედვით სუბიექტებისთვის დათმობილ დროს, საერთო ტონის ტენდენცია მეორდება. ყველაზე მეტი დადებითი ტონით გაშუქება დაუფიქსირდა პრეზიდენტს 56 პროცენტით, ქრისტიან-დემოკრატიულ მოძრაობასა და მთავრობას 26-26. ქართულ ოცნებას კი - ყველაზე მეტი უარყოფითი ტონი 40 პროცენტი, რაც საერთო ტონში ამ სუბიექტის მიმართ გამოვლენილი უარყოფითი ტონის წილს აღემატება. (იხ. დიაგრამა Tone J3).

მონიტორინგის პერიოდში იმედზე გასულ სიუჟეტებს ხშირად ჰქონდა არანეიტრალური სათაურები. იმ სიუჟეტებთან, რომლებიც კოალიცია ქართულ ოცნებას ეხებოდა, შეინიშნებოდა უფრო უარყოფითი ტონის სათაურები. მაგალითად, „ივანიშვილის როსკრედიტი - „ჯიბიდან ჯიბეში“: წინასაარჩევნო ფიქცია? (11 მაისი), „კალაძის აგვისტო“ – „ქართული ოცნების“ რუსული პოზიცია? (10 ივლისი), „პოლიტიკური კორუფცია? - ჯიბიდან ჯიბეში - უკანონო შემოწირულობები ‘ოცნებაში’“ (17 ივლისი), „გია ბურჯანაძე, ოცნება და „მეგრული აქცენტი“: რას ერჩის ბურჯანაძე მეგრელებს“ (1 აგვისტო), „ივანიშვილი

საქართველოს წინააღმდეგ: ვის ხარჯზე ცდილობს ოლიგარქი 230 მილიონი დოლარის ამოღებას“ (2 აგვისტო), „ივანიშვილმა ბეშუმში აჭარლები ვერ ნახა: „ნასუფრალზე მისვლა“ (4 აგვისტო), „ბიძინა და ნინო“: საოცნებო პატრიოტიზმი“ (13 აგვისტო). ხელისუფლების წარმომადგენლების შესახებ სიუჟეტების სათაურები უფრო ხშირად იხრებოდა დადებითისკენ. მაგალითად, „იუსტიციის სახლი - ინოვაციური პროექტი - ლორდთა პალატის უმაღლესი შეფასება“ (17 ივლისი), „სტიქიის შედეგების ლიკვიდაცია - სარეაბილიტაციო სამუშაოები უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს“ (21 ივლისი), „მერაბიშვილის სოფლის განვითარების პროგრამა: მზადება რთველისთვის - პრემიერი გურჯაანის ღვინის ქარხანაში“ (6 აგვისტო).

მონიტორინგის პერიოდში გამოიკვეთა ტენდენცია, რომ დადებითი სიუჟეტები ძირითადად პრეზიდენტზე და მთავრობაზეა, ასევე ქრისტიან-დემოკრატიულ მოძრაობაზეა, ხოლო უარყოფითი სიუჟეტები - უმეტესად კოალიცია ქართულ ოცნებაზე და მის წევრებზე. აღსანიშნავია, რომ ეს ტენდენცია მონიტორინგის დასაწყისშივე გამოიკვეთა და მომდევნო სამი თვის განმავლობაში არ შეცვლილა. პირიქით, არჩევნებთან მიახლოებასთან ერთად ეს ტენდენცია კიდევ უფრო გამძაფრდა.

მაგალითად, 11 მაისის სიუჟეტში „ივანიშვილის როსკრედიტი - „ჯიბიდან ჯიბეში“: წინასაარჩევნო ფიქცია?“ ჟურნალისტი ამბობს, - „ოლიგარქმა კარგად იცის, რომ მისი ერთ-ერთი მთავარი პოლიტიკური ლაქა იმ ფულის წარმომავლობაა, რომელიც უკვე დახარჯა ქართულ პოლიტიკაში მოსასვლელად. თუმცა, როგორც ჩანს, დასახარჯი ჯერ კიდევ ბევრი აქვს“.

12 ივლისის სიუჟეტი პრეზიდენტის ვიზიტზე ქობულეთში სააკაშვილის მიმართ იყო ძალიან დადებითი. სიუჟეტში ნაჩვენებია, როგორ მოინახულა სააკაშვილმა ყველა ახალი პროექტი, რაც მიმდინარეობს ქობულეთში, როგორ დაინტერესდა ყველა დეტალით, განსაკუთრებული ინტერესი გამოიჩინა დასაქმების საკითხებთან დაკავშირებით. ნაჩვენებია, როგორ ესალმება იგი ხალხს. ხალხიც ასევე ძალიან დადებითად ხვდება. ასევე ნაჩვენებია, როგორ იქნევს პლაჟიდან ხალხი ხელს. ნაჩვენებია, როგორ მოდის ადგილობრივი მცხოვრები და ხელს ართმევს პრეზიდენტს და ამბობს „მიშა მაგარია“. სიუჟეტის ბოლოს ასევე ნაჩვენებია, როგორ

ხვდება სააკაშვილი მოსახლეობას. ბავშვები ყვირიან „მიშა, მიშა“ და სააკაშვილი ეფერება ბავშვებს. სიუჟეტის დადებით ფონს კიდევ უფრო ამყარებს ჟურნალისტის შესავალი ტექსტი, როცა ის ამბობს: „ქობულეთში რუსთაველის ქუჩას მიხეილ სააკაშვილი მოულოდნელად ესტუმრა, რამაც ადგილობრივებში განსაკუთრებული ემოციები გამოიწვია“.[9]

20 ივლისის სიუჟეტი „პრეზიდენტი სტიქიით დაზარალებულ რეგიონებში: აღდგენითი სამუშაოები - შეხვედრა მოსახლეობასთან“[10] ძალიან დადებით შთაბეჭდილებას ტოვებს პრეზიდენტზე. საგულისხმოა, რომ სიუჟეტი აგებულია არა სტიქიაზე და მის მიერ გამოწვეულ ზარალზე, არამედ პრეზიდენტის მიერ ხალხთან შეხვედრაზე და ძირითადად ხალხის მიერ სააკაშვილის ქებაზე. სიუჟეტი 7 წუთსა და 40 წამს გრძელდება და სიუჟეტის ორი მესამედი პრეზიდენტის დადებით გაშუქებას ეთმობოდა: პრეზიდენტის შესახებ რესპონდენტების საუბარს ან მის გამოჩენას ან თავად სააკაშვილის საუბარს.

10 აგვისტოს სიუჟეტში „პრეზიდენტი რაჭაში“ ტონი მკვეთრად დადებითია პრეზიდენტის მიმართ. სიუჟეტში რამდენჯერმე ისმის მისი სახელის სკანდირება. მის შესახვედრად ბევრი ხალხია შეკრებილი. პრეზიდენტის გამოჩენისას ისმის ტაში და შეძახელები („დიდი მადლობა შვილის დასაქმებისთვის“, „საქართველო ჭაობიდან ამოიყვანე, ჭაობიდან“, „გახარებულმა იარე საქართველოს ტერიტორიაზე“). უმრავლესობას ახურავს წითელი ქუდები წარწერით „მე მიყვარს საქართველო“. ზოგი ხელში აფრიალებს წითელ ფლაერებს 5 ნომრით, ზოგსაც ეროვნული დროშა უჭირავს. ვიღაცას ხელში უჭირავს წარწერა „მიშა გვიყვარხარ რაჭველებს.“ პრეზიდენტის გამოსვლასაც ხშირად წყვეტს ხმამაღალი ტაში და შეძახილები. სიუჟეტის ბოლოს ხანშიშესული მამაკაცი სიტყვას ითხოვს. იგი ამბობს, რომ 73 წლისაა, 5 მთავრობა აქვს გამოცვლილი და არავის გაუკეთებია ამდენი, რაც ამ მთავრობამ და ყველას მოუწოდებს ხმა ისევ მათ მისცენ. ამას კვლავ ტაში და სკანდირება მოსდევს. პრეზიდენტი მას კოცნის.

აღსანიშნავია, რომ ეს სიუჟეტი არ არის იშვიათი ან განსხვავებული შემთხვევა. სიუჟეტები პრეზიდენტის ვიზიტებზე სხვადასხვა რეგიონში ან შეხვედრებზე ამომრჩევლებთან

[9] იხ. სიუჟეტი შემდეგ ბმულზე: http://www.youtube.com/watch?v=c4bo1oROtMU&feature=youtu.be
[10] იხ. სიუჟეტი შემდეგ ბმულზე: http://www.youtube.com/watch?v=PLltHfS8Jfo&feature=youtu.be

ერთმანეთის მსგავსია. ამ სიუჟეტებში ყოველთვის მოცემულია პრეზიდენტის სიტყვა, ხშირად ვრცელი, ნაჩვენებია ბევრი ხალხი გაღიმებული სახეებითა და პარტიული ატრიბუტიკით, ისმის ტაში და სკანდირება, მადლობები და სხვადასხვა დადებითი შინაარსის შემცველი რეპლიკები.

საინტერესოა, რომ ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის შესახებ სიუჟეტებიც წააგავს პრეზიდენტისა და მთავრობის სიუჟეტებს განსაკუთრებით ივლისიდან, როცა ქრისტიან-დემოკრატებმა აქტიური წინასაარჩევნო კამპანია წამოიწყეს, რაც იმედზე საკმაოდ ვრცლად შუქდება.

მაგალითად, 19 ივნისის სიუჟეტში „ქდმ ბავშვთა ცენტრში“ ნაჩვენებია ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის წარმომადგენლების ვიზიტი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა ცენტრში. სიუჟეტის შინაარსიცა და კადრებიც დადებით შთაბეჭდილებას ტოვებს ამ პარტიაზე.

17 ივლისის სიუჟეტში „ქდმ მარტყოფში – წინასაარჩევნო პროგრამის გაცნობა“ ნაჩვენებია, როგორ ეხმარებიან ქდმ-ს წევრები გლეხებს თიბვაში, როგორ პირდებიან მათ პრობლემების გადაჭრას და წარმოდგენილია ადგილობრივ მცხოვრებთა კომენტარები, რომლებიც დადებითად საუბრობენ ქრისტიან-დემოკრატებზე. 18 ივლისის სიუჟეტში „ქდმ ლანჩხუთის რაიონში“ აჩვენებენ, თუ როგორ წამლავს გიორგი თარგამაძე ხეებს ამერიკული პეპლების საწინააღმდეგოდ. ქდმ-ს წევრები ჩანან ხალხის გარემოცვაში და დადებითი შთაბეჭდილება იქმნება მათზე.

1 აგვისტოს სიუჟეტი „ქდმ კახეთში: წინასაარჩევნო კამპანია - შეხვედრა რეგიონის მოსახლეობასთან“ დადებითისკენ იხრება ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის მიმართ. დადებითია თავად ქდმ-ს წევრების საუბრები საკუთარ პარტიასთან დაკავშირებით. სიუჟეტის ბოლოს ნაჩვენებია, რომ ქდმ-ს ახალგაზრდული ფრთის წევრებმა ჯარისკაცის მამის მონუმენტთან ჩირაღდნები დაანთეს, ხოლო გიორგი თარგამაძემ სიმბოლურად აანთო პარტიის ნომერი ათიანი.

2 აგვისტოს სიუჟეტში „ქდმ-ს წინასაარჩევნო კამპანია: მოძრაობის ლიდერები სტეფანწმინდაში და სოციალურად დაუცველებთან“ ნაჩვენებია, თუ როგორ წაიყვანა მაგდა ანიკაშვილმა მოქალაქე და დაესწრო მის მშობიარობას. შემდეგ ბავშვის მამას აცნობა ბიჭის დაბადება. 10 აგვისტოს სიუჟეტში კი „ქდმ ჭიათურაში“ ახვლედიანი და თარგამაძე იცვამენ მაღაროელების ფორმებს, ჩადიან 6 კილომეტრის სიღრმეზე და ყველაფერს ისე აკეთებენ, როგორც მაღაროელები. სიუჟეტის ბოლოს მადანსაც მოიპოვებენ.

რაც შეეხება კოალიცია ქართულ ოცნებასა და მის წევრებს, იმედზე მონიტორინგის პერიოდში გასულ სიუჟეტებში მათზე ხშირად იქმნება უარყოფითი შთაბეჭდილება.

მაგალითად, 12 ივლისის გამოშვებაში გავიდა სიუჟეტი „ოცნების მაჟორიტარები: სპორტსმენები, თოვლის ბაბუა და თბილისი“. სიუჟეტიდან რჩებოდა უარყოფითი შთაბეჭდილება ქართული ოცნებისა და ბიძინა ივანიშვილის მიმართ. სიუჟეტში ხაზგსმულია, რომ დასახელებული მაჟორიტარობის კანდიდატები ძირითადად პოლიტიკაში ნაკლებად ერკვევიან. ნათქვამია, რომ კანდიდატები ძირითადად არიან სპორტსმენები, ასევე ერთ-ერთი თოვლის ბაბუას როლის შემსრულებელი. სიუჯეტში ხაზგასმულია, რომ მედიისთვის ცნობილია, რომ ივანიშვილს თბილისის მაჟორიტარობის კანდიდატები უნდა დაესახელებინა. თუმცა, მან სხვა რეგიონის კანდიდატები დაასახელა. ასევე ყურადღება გამახვილებულია იმაზე, რომ ეს ბრიფინგი ტექნიკური ხარვეზებით მიდიოდა, კერძოდ, გაფუჭებული იყო მიკროფონი.

13 ივლისის სიუჟეტში „კალაძე და იარაღი: რა მოხდა კარალეთში?“ ნაჩვენებია კალაძისა და კარალეთის მოსახლეობას შორის მომხდარი ინციდენტი. ჟურნალისტი ამბობს: „ისედაც დაძაბული სიტუაცია კიდევ უფრო სწორედ ყოფილმა ფეხბურთელმა გაართულა, როდესაც, 12-კაციანი დაცვით გარშემორტყმულმა, ადგილობრივების გინება გადაწყვიტა”. ამის შემდეგ ნაჩვენებია კადრი, სადაც კალაძე აგინებს ადგილობრივ მცხოვრებს. გინების მომენტი ორჯერ ზედიზედ არის ნაჩვენები.

17 ივლისის სიუჟეტში „ოცნების არქიტექტურა: ივანიშვილის დაწუნებული პროექტები და სტალინის ძეგლი“[11] საუბარია იმაზე, რომ ბიძინა ივანიშვილს არ მოსწონს სააკაშვილის ხელისუფლების დროს აშენებული „შუშის შენობები“. ასევე წარმოდგენილია კოალიცია ქართული ოცნების გორის მაჟორიტარი, რომელიც ამბობს, რომ მოსახლეობის სურვილის შემთხვევაში შესაძლებელია, სტალინის ძეგლის დაბრუნება პირვანდელ ადგილას. სტალინის ძეგლის აღდგენის საილუსტრაციოდ ნაჩვნებია ძეგლის დემონტაჟის დამონტაჟებული ვერსია, თითქოს ძეგლი პირვანდელ ადგილს დაუბრუნდა. ამ კადრებს თან ახლავს სპეციფიური მუსიკა და მოყვება ჟურნალისტის სიტყვები – „ეს ქართული ოცნების ერთ-ერთი გეგმაა“. სიუჟეტი უარყოფითად წარმოაჩენს ბიძინა ივანიშვილს. (17 ივლისი, სიუჟეტი 5)

2 აგვისტოს სიუჟეტი „ივანიშვილი საქართველოს წინააღმდეგ: ვის ხარჯზე ცდილობს ოლიგარქი 230 მილიონი დოლარის ამოღებას“ უარყოფით შთაბეჭდილებას ქმნის ივანიშვილზე, რადგან ნათქვამია, რომ ივანიშვილი მთავრობისგან ფულს ითხოვს. შემდეგ რესპონდენტად წარმოდგენილია ერთი ექსპერტი და მასთან ერთად დაანგარიშებულია, თუ რას შეიძლება მოხმარდეს 230 მილიონი დოლარი. ეს კი წარმოდგენილია ისე, რომ ეს თანხა აკლდება სახელმწიფო სოციალურ პროგრამებს. ივანიშვილი ნაჩვენებია, როგორც ქვეყნის მთავრობისგან უსამართლოდ ფულის მომთხოვნი.

4 აგვისტოს სიუჟეტი „ოცნების მაგია“[12] მოგვითხრობს იმაზე, რა ხერხებს იყენებს კოალიცია ქართული ოცნება საარჩევნოდ ხმების მოსაპოვებლად. რამდენჯერმე აჩვენებენ, თუ როგორ ამბობს ბათუმის მაჟორიტარობის კანდიდატი მურმან დუმბაძე, რომ ხალხმა არავითარ შემთხვევაში არ უნდა შემოხაზოს ხუთიანი არჩევნებზე, რადგან „სამედიცინო დასკვნა არსებობს“, რომ მათ, ვინც მარჯვენა ხელით შემოხაზავს ხუთიანს, კიბო დაემართებათ, ხოლო მათ, ვინც ამას მარცხენა ხელით გააკეთებს, ინფექცია შეეჭრებათ. ამ კადრებს მოჰყვება კადრები ტომების რიტუალისა და ჟურნალისტი ამბობს, რომ მურმან დუმბაძის ფანტაზიის იმ ტომებსაც შეშურდებოდათ, სადაც ძალაუფლებისთვის ბრძოლა შავი მაგიის ელემენტების გარეშე წარმოუდგენელია. ამასთან, ჟურნალისტი 30 წამის მანძილზე მისი სიტყვების

[11] იხ. სიუჟეტი შემდეგ ბმულზე: http://www.youtube.com/watch?v=KVHYCoqht2U&feature=youtu.be
[12] იხ. სიუჟეტი შემდეგ ბმულზე: http://www.youtube.com/watch?v=lmUdu3_UdA8&feature=youtu.be

პერიფრაზს აკეთებს ირონიული ტონით. საინტერესოა, რომ სიუჟეტის ბოლოს კიდევ ერთხელაა ნაჩვენები, რომ ივანიშვილმა ნაციონალური მოძრაობის ქუდი დაიხურა და ამას თან სდევს ჟურნალისტის სიტყვები „საინტერესოა, ამ წინასწარმეტყველების მიხედვით, რა სენი შეიპყრობს კოალიციის ლიდერ ბიძინა ივანიშვილს, რომელმაც დღეს აჭარის სოფელ ბეშუმის მზეს ვერ გაუძლო და, სხვათა შორის, მურმან დუმბაძის თვალწინ, თავზე ნაციონალური მოძრაობის ხუთნომრიანი კეპი დაიხურა“.

სიუჟეტები მათში წარმოდგენილი რესპონდენტების მიხედვით ზოგჯერ დაბალანსებულია და ზოგჯერ - არა. თუმცა, მონიტორინგის პერიოდში გამოვლინდა, რომ დაუბალანსებელი სიუჟეტების უმეტესობა ეხებოდა კოალიცია ქართულ ოცნებას. დაუბალანსებელი სიუჟეტის ერთ-ერთი კარგი მაგალითია 7 ივნისის სიუჟეტი „რას ფიქრობენ ოცნებაში?“ სიუჟეტში არაა ნაჩვენები არც ქართული ოცნებისა და არც კონტროლის პალატის წარმომადგენლები. სულ გამოყენებულია ერთი წყარო - ივანიშვილის ფეისბუქის გვერდი, ოღონდ ისეა ნაჩვენები (ფეისბუქის ლოგო და მოძრავი ტექსტი), რომ გაუგებარია, ნამდვილად ფეისბუქის გვერდია თუ არა. ეს სიუჟეტი სხვა მხრივაც საინტერესოა. ნაჩვენები მოძრავი ტექსტი არ შეესაბამება ჟურნალისტის ნაამბობს.

აქვე აღსანიშნავია, რომ სიუჟეტები სხვადასხვა პარტიის ლიდერების, მთავრობის ცალკეული წარმომადგენლებისა და პრეზიდენტის ვიზიტებზე რეგიონებში და წინასაარჩევნო აქტივობებზე ძირითადად ერთ წყაროზეა აგებული ან წარმოდგენილი რესპონდენტებიც ერთმანეთის მსგავს მოსაზრებებს აფიქსირებენ.

რაც შეეხება შეუსაბამობას ჟურნალისტის დასკვნასა და სიუჟეტში წარმოდგენილ ფაქტებს შორის, მონიტორინგის პერიოდში ასეთი შემთხვევები გამოვლინდა.

მაგალითად, 14 ივლისის სიუჟეტი „ივანიშვილის „აგვისტო“ და ერგნეთი: „ოცნების“ ლიდერის ცვალებადი განცხადებები“. სიუჟეტში ჟურნალისტი ამბობს, რომ ივანიშვილმა კარალეთის მოსახლეობას ზონდერ ჯგუფები და უბადრუკები უწოდა. თუმცა, ამის შემდეგ ივანიშვილი საუბრისას არ ახსენებს, რომ ის კარალეთელებს უწოდებს ზონდერ ჯგუფებს. მის ინტერვიუს არ აჩვენებენ ბოლომდე, თითქოს შუაზე წყვეტენ. ის ამბობს: „ყველგან

ხვდებოდათ წინააღმდეგობები, უბადრუკი, რა თქმა უნდა, მსგავსად ამისა კარალეთში რომ ქვები დაუშინეს, იგინებიან რამდენიმე ზონდერ...“ აქ გაწყდა ინტერვიუ, ამიტომ ვის უწოდა ზონდერ ჯგუფები, თუ საერთოდ რას ნიშნავდა ეს ზონდერ, გაურკვეველია.

რაც შეეხება შეუსაბამობას ჟურნალისტის დასკვნასა და სიუჟეტში წარმოდგენილ ფაქტებს შორის, რამდენიმე შემთხვევა გამოვლინდა. მაგალითად, 25 ივლისის სიუჟეტში „ლეობორისტების ბრიფინგი: ძაგანიას განცხადება“[13] ჟურნალისტი ამბობს, რომ ძაგანიას თქმით, ბიძინა ივანიშვილის მიერ გადარიცხული 80 მილიონი ნაციონალების საარჩევნო კამპანიას მოხმარდება და ამის შესახებ ივანიშვილი საკაშვილს ალავერდში ფარულად შეუთანხმდა. თუმცა, ამის შემდეგ ნაჩვენებია ძაგანიას საუბარი, სადაც ის იგივეს არ იმეორებს და რთულია მისი საუბრიდან რაიმე დასკვნის გაკეთება.

მაესტრო

მაესტროზე მთელი მონიტორინგის განმავლობაში მონიტორინგის ქვეშ მყოფ სუბიექტებს სულ 24 საათი და 3 წთ დაეთმოთ. საკმაოდ დიდი მსგავსება შეინიშნება მაესტროსა და მეცხრე არხზე სუბიეტქებისთვის დათმობილი დროის მიხედვით. ყველაზე მეტი დრო კოალიცია ქართულ ოცნებას და მთავრობას დაეთმოთ. მაესტროზე სიუჟეტების უმეტესობა ნეიტრალურ საერთო შთაბეჭდილებას ტოვებს სუბიექტებზე. თუმცა, ხელისუფლების წარმომადგნლების შემთხვევაში შეინიშნება უარყოფითი გაშუქება, ოღონდ უფრო მეტად კრიტიკულ ჭრილში. ხშირ შემთხვევაში ეს უარყოფითი შთაბეჭდილება იქმნება რესპონდენტების კომენტარების შედეგად და არა ჟურნალისტის ტექსტებით ან კადრებით. დაუბალანსებელი სიუჟეტები უმეტესად ისეთ საკითხებს ეხება, სადაც აშკარაა ხელისუფლების და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლების, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის (კონტროლის პალატის), სასამართლოსა და ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლების კომენტარის საჭიროება. ასევე გამოვლინდა შემთხვევები, როცა ჟურნალისტის ნათქვამი/დასკვნა არ შეესაბამებოდა სიუჟეტში წარმოდგენილ მასალას.

[13] იხ. სიუჟეტი შემდეგ ბმულზე: http://www.youtube.com/watch?v=2y4FoO-1k7U&feature=youtu.be

მაესტროზე მთელი მონიტორინგის განმავლობაში მონიტორინგის ქვეშ მყოფ სუბიექტებს სულ 24 საათი და 3 წუთი დაეთმო. აღსანიშნავია, რომ საკმაოდ დიდი მსგავსება შეინიშნება მაესტროსა და მეცხრე არხზე სუბიექტებისთვის დათმობილი დროის მიხედვით. განსაკუთრებით კი ეს პირველ ოთხეულში მოხვედრილი სუბიექტების შემთხვევაში ჩანს. ორივე არხზე ყველაზე მეტი დრო კოალიცია ქართულ ოცნებას (25 პროცენტი) და მთავრობას (21 პროცენტი) დაეთმო. ასევე ძალიან დიდია მსგავსება დათმობილი დროის მიხედვით მესამე და მეოთხე ადგილას მყოფ პრეზიდენტსა და ერთიან ნაციონალურ მოძრაობას შორის. მაესტროზე პრეზიდენტს 13 პროცენტი ხოლო ერთიან ნაციონალურ მოძრაობას 12 პროცენტი ერგოთ. ყველა დანარჩენ სუბიექტს დროის 5 პროცენტი ან ნაკლები დაეთმო. (იხ. დიაგრამა Time 4 და დიაგრამა Time 6)

პირდაპირ და ირიბ საუბარზე დაკვირვებით გამოვლინდა, რომ იმ სუბიექტთაგან, რომელთაც 1 საათზე მეტი დრო დაეთმო (კოალიცია ქართული ოცნება, მთავრობა, პრეზიდენტი, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა და ქრისტიანულ-დემოკრატიული მოძრაობა), მთავრობას (5 საათი და 2 წუთი) პირდაპირი საუბრის ყველაზე მცირე წილი აქვს - 27 პროცენტი, დანარჩენებს კი პირდაპირი საუბარი 45 პროცენტზე მაღალი აქვთ. დანარჩენ სუბიექტებს, რომელთაც 11 მაისიდან 15 აგვისტოს ჩათვლით 1 საათზე ნაკლები დრო დაეთმო, ყველაზე დაბალი პირდაპირი საუბრის წილი ადგილობრივ თვითმმართველობასა (36 პროცენტი 56 წუთიდან) და სახელმწიფო აუდიტის სამსახურს (18 პროცენტი თითქმის 27 წუთიდან) დაუფიქსირდა. (იხ. დიაგრამა Speech 4)

რაც შეეხება სუბიექტებისთვის დათმობილი დროის შეფასებას ტონის მიხედვით, აღსანიშნავია, რომ მაესტროზე დათმობილი დროის მიხედვით სუბიექტთა პირველი ოთხეულის მიმართ გამოვლინდა როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი ტონი. თუმცა, მათ შორის ყველაზე მეტი უარყოფითი ტონი (25%) აქვს მთავრობას, ხოლო ერთიან ნაციონალურ მოძრაობას და პრეზიდენტს უარყოფითი ტონის 17 და 18 პროცენტი აქვთ. ადგილობრივ თვითმმართველობას აქვს უარყოფითი ტონის საკმაოდ დიდი წილი - 43 პროცენტი. კოალიცია ქართულ ოცნებას კი - მხოლოდ 4 პროცენტი. უარყოფითი ტონის მაღალი პროცენტული მაჩვენებელი აქვს ადგილობრივ თვითმმართველობას (43 პროცენტი),

რომელსაც ჯამში ნახევარ საათზე მეტი დრო დაეთმო). რაც შეეხება დადებით ტონს, ყველაზე მეტი დადებითი ტონი აქვს პრეზიდენტს (28 პროცენტი) და მთავრობას (11 პროცენტი). (იხ. დიაგრამა Tone 4)

რაც შეეხება ჟურნალისტის ტონის მიხედვით სუბიექტებისთვის დათმობილ დროს, სურათი გარკვეულწილად იმეორებს საერთო ტონის ტენდენციას. ჟურნალისტის ტონში ყველაზე მეტი უარყოფითი ტონის წილი 19 ივნისიდან 15 აგვისტოს ჩათვლით პერიოდში გამოვლინდა რამდენიმე სუბიექტის მიმართ: მთავრობა (20%), ერთიანი ნაციონალური მოძრაობა (18%), პრეზიდენტი (12%), ადგილობრივი თვითმმართველობა (41%). (იხ. დიაგრამა Tone J4)

მაესტროზე სიუჟეტებს უმეტესად აღწერილობითი და ნეიტრალური სათაურები ჰქონდა. თუმცა, ივლისიდან შეინიშნება მთავრობის, პრეზიდენტის, ადგილობრივი თვითმმართველობის, ნაციონალური მოძრაობისა და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიმართ კრიტიკული შინაარსის მქონე სათაურები, რაც უარყოფით შთაბეჭდილებას ტოვებს ამ სუბიექტებზე. მაგალითად, „ქველმოქმედება თუ ამომრჩევლის მოსყიდვა? - 1 ტომარა კარტოფილი 420 ოჯახისთვის, რუსთავის მერიის საჩუქარი სოციალურად დაუცველ ოჯახებს“ (19 ივნისი); „უწყლოდ დარჩენილი სოფელი: ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხის მიუხედავად სოფელ ერგეს მოსახლეობას წყალი არ მიეწოდება“ (4 ივლისი); „ზღვისპირა სოფლის პრობლემები: ფრონეს ხეობის მოსახლეობა ომის შედეგად მიყენებული ზარალის კომპენსაციას დღემდე ელოდება“ (9 ივლისი); „ქეიფი თუ კანონის დარღვევა – უმრავლესობის ლიდერი დავით ცისკარიშვილთან და პედაგოგებთან რესტორანში ყოფნას ადასტურებს“ (18 ივლისი); „ოზურგეთში პრეზიდენტის ვიზიტამდე: სააკაშვილის შესახვედრად მოსული მამაკაცი პოლიციამ 400 ლარით დააჯარიმა“ (25 ივლისი); „დაყადაღებული ინსტიტუტი: სასამართლომ საქართველოს განვითარების კვლევითი ინსტიტუტის ანგარიშები დააყადაღა“ (31 ივლისი); „გამგებლის ნიძლავი: საჩხერის გამგებელს სხვიტორში საყვედურების მოსმენა მოუწია“ (1 აგვისტო); „ჩაშლილი საინფორმაციო კამპანია: კოალიცია ქართული ოცნების წევრებს სანაპირო დაცვის სამსახურმა ბათუმში წასვლის უფლება არ მისცა“ (3 აგვისტო); „დაზარალებული კახეთი და პრემიები ჩინოვნიკებს: კახეთში გამგებლებმა, გამგებლის მოადგილეებმა და საკრებულოს თავმჯდომარეებმა 3-დან 6 ათას ლარამდე პრემიები აიღეს“

(4 აგვისტო); „საარჩევნო პლაკატი ადმინისტრაციულ შენობაზე: სოფელ აკურას ტერიტორიული ორგანოს შენობის კედელზე ნაციონალური მოძრაობის პლაკატი იყო გაკრული“ (14 აგვისტო).

საერთო ჯამში, მაესტროზე სიუჟეტების უმეტესობა ნეიტრალურ საერთო შთაბეჭდილებას ტოვებს სუბიექტებზე. თუმცა, ხელისუფლების წარმომადგნლების შემთხვევაში შეინიშნება უარყოფითი გაშუქება, ოღონდ უფრო მეტად კრიტიკულ ჭრილში. აქვე აღსანიშნავია, რომ ხშირ შემთხვევაში ეს უარყოფითი შთაბეჭდილება იქმნება რესპონდენტების კომენტარების შედეგად და არა ჟურნალისტის ტექსტებით ან კადრებით.

მაგალითად, 11 მაისის სიუჟეტში მთავრობის წევრთა მივლინების ხარჯების შესახებ პირველივე წინადადებაში ჟურნალისტი მთავრობას „ფეხმარდ და მკვირცხლებად“ მოიხსენიებს და აღნიშნავს, რომ „ფეხმარდი და მკვირცხლი მთავრობის სამივლინებო თანხას კი პრეზიდენტი შეისწავლის.“

24 ივლისის სიუჟეტი „ახალი წესები ჟურნალისტებისთვის“ უარყოფითისკენ იხრება მთავრობისა და მერაბიშვილისადმი. სიუჟეტი ეხება იმას, რომ მერაბიშვილის მოსვლის შემდეგ კანცელარიაში სამთავრობო სხდომაზე ჟურნალისტებისთვის პირობები გამკაცრდა. უარყოფითადაა წარმოჩენილი მერაბიშვილი, როგორც დამნაშავე ამ გამკაცრებებში. ამ სიუჟეტში ჟურნალისტი ამბობს: „პრემიერმინისტრ ვანო მერაბიშვილის პირობის მიუხედავად, რომ მთავრობა ქართული მედიისთვის ხელმისაწდომი იქნებოდა, არ შესრულდა.“ რამდენჯერმე აღინიშნება რომ მერაბიშვილმა თავისი დაპირება არ შეასრულა და პირიქით გაუმკაცრა ჟურნალისტებს წვდომა მთავრობის სხდომაზე.

11 ივლისის სიუჟეტში „აქცია ლაგოდეხის გამგეობასთან“ უარყოფით შთაბეჭდილებას ადგილობრივი თვითმმართველობის მიმართ ქმნის რამოდენიმე ადგილობრივი მცხოვრებლის კომენტარი, რომლებიც უკმაყოფილებას გამოხატავენ მათ ქმედებებზე. ასევე, 16 ივლისი სიუჟეტში „ქცევის წესები პარტიებისთვის“ შთაბეჭდილება უარყოფითისკენ იხრება ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა და ზოგადად ხელისუფლების მიმართ. მიუხედავად იმისა, რომ ჟურნალისტის ტექსტი ძირითადად ნეიტრალურია, სიუჟეტში

ნაჩვენები რესპონდენტების უარყოფითი შინაარსის კომენტარები სიუჟეტის ზოგად შთაბეჭდილებას ცვლის უარყოფითისკენ.

აღსანიშნავია 13 ივლისის სიუჟეტი „მორიგი ყადაღა - "ქართული ოცნების" გაზეთების დაბეჭდვისთვის "ელიტა ბურჯის“ საბანკო ანგარიშები დააყადაღეს“, სადაც ზოგად შთაბეჭდილებას ჟურნალისტის ტექსტიც განაპირობებს. სიუჟეტში ზოგადი შთაბეჭდილება კონტროლის პალატის მიმართ იხრება ნეგატიურისკენ. ჟურნალისტი აღნიშნავს, რომ ელიტა ბურჯს განუხორციელებია არაერთი სამთავრობო პროექტიც და ეს შემთხვევები კონტროლის პალატის „გონივრულ ეჭვს“ არ იწვევს. ეჭვი მხოლოდ ქართული ოცნების მაისურების დამზადების შემდეგ გაჩნდა.

26 ივლისის სიუჟეტში „პრეზიდენტი თელავში: მიხეილ სააკაშვილმა გიგი უგულავასთან ერთად სტიქიით დაზარალებულ ქალაქში სკვერი გახსნა“[14] გაკრიტიკებული იყო პრეზიდენტი და ხელისუფლება. უკმაყოფილო ადგილობრივებმა შექმნეს უარყოფითი შთაბეჭდილება სააკაშვილის მიმართ. ჟურნალისტმა ხაზი გაუსვა, რომ ადგილობრივი მოსახლეობის ნაწილმა ვერ შეძლო პრობლემების პრეზიდენტამდე მიტანა. გაკტირიკებული იყო ასევე იმიტომ, რომ პრეზიდენტის ფეისბუკის ვიზიტის მხოლოდ ის ნაწილი მოხვდა, სადაც ადგილობრივები კმაყოფილებას გამოხატავდნენ. მართალია, აჩვენეს სააკაშვილის სიტყვა, რომელიც აიმედებდა მოსახლეობას და პრობლემების მოგვარება პირდებოდა, მაგრამ სიუჟეტის მსვლელობისას მისი სიტყვები დადებითად აღარ ჟღერდა კონტექსტიდან გამომდინარე. ასევე ნაჩვენები იყო უკმაყოფილო ქალბატონის კომენტარი, რომ „სპეკტაკლი კარგი გამოვიდა რა“ და ამან შექმნა ნეგატიური ფონი.

9 აგვისტოს სიუჟეტში „აგვისტოს ომი ფოთში“[15] სიუჟეტი აგებულია იმაზე, რომ დაამტკიცონ, რომ პრეზიდენტის მიერ თავის გამოსვლაში მონათხრობი ამბავი რუსების მიერ ოკუპირების პერიოდში ფოთში ჩაფრენის შესახებ არის მცდარი. სიუჟეტში ნაჩვენებია პრეზიდენტის გამოსვლა, სადაც იგი დეტალურად აღწერს ფოთში ჩაფრენას. მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტი თავის გამოსვლაში ამბობს, რომ გზები გადაკეტილი იყო და რუსი ოკუპანტები

[14] იხ. სიუჟეტი შემდეგ ბმულზე: http://www.youtube.com/watch?v=7RBKZw7qvXY&feature=youtu.be
[15] იხ. სიუჟეტი შემდეგ ბმულზე: http://www.youtube.com/watch?v=l9tmJ6hgdsA&feature=youtu.be

იყვნენ გარშემო, იგი ჩაფრენის კონკრეტულ თარიღს არ ასახელებს. პრეზიდენტის გამოსვლის შემდეგ ჟურნალისტი ამბობს, რომ ერთ-ერთი ჟურნალისტის თქმით, პრეზიდენტი ფოთში მხოლოდ 29 აგვისტოს ჩავიდა. სიუჟეტში ნაჩვენებია ამ ჟურნალისტის კომენტარიც. სიუჟეტიდან გამომდინარეობს, რომ პრეზიდენტის მონათხრობი მცდარია, რაც უარყოფით შთაბეჭდილებას ტოვებს პრეზიდენტზე.

ასევე საინტერესოა, რომ რამდენიმე სიუჟეტში პრეზიდენტი დადებითად გაშუქდა. მაგალითად, 17 ივლისის სიუჟეტი „მოსახლეობასთან შეხვედრა“ აჩვენებს პრეზიდენტს, რომელიც ხალხითაა გარშემორტყმული და დადებითად საუბრობს. ასევე 21 ივლისის სიუჟეტი „აღდგენითი სამუშაოები თელავში“, სადაც ჩანს, როგორ ესაუბრება სააკაშვილი მოსახლეობას და პირდება პრობლემების მოგვარებას. სიუჟეტში წარმოდგენილია, თუ როგორ ეხუტება და კოცნის სააკაშვილი მოსახლეობას და როგორ აქებენ ისინი მას. 10 აგვისტოს სიუჟეტი „პრემიერმინისტრი აგარაში: ვანო მერაბიშვილმა რუისი-აგარის ავტომაგისტრალის მშენებლობა გახსნა“ დადებითია მთავრობის მიმართ, რადგან ნაჩვენებია ვანო მერაბიშვილი და რამაზ ნიკოლაიშვილი, რომლებიც ხსნიან მაგისტრალის მშენებლობას, სადაც 1500 ადამიანი დასაქმდება.

მაესტროზე სიუჟეტში წარმოდგენილი რესპონდენტებისა და განსხვავებული მოსაზრებების მხრივ ძირითად შემთხვევებში დაბალანსებულია. თუმცა, აღსანიშნავია, რომ დაუბალანსებელი სიუჟეტები უმეტესად ისეთ საკითხებს ეხება, სადაც აშკარაა ხელისუფლების და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლების, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის (კონტროლის პალატის), სასამართლოსა და ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლების კომენტარის საჭიროება. ამასთან, ზოგ შემთხვევაში ჟურნალისტი ამბობს, რომ იყო მცდელობა რესპონდენტებთან დაკავშირების, მაგრამ ვერ მოხერხდა.

მაგალითად, 9 ივნისის სიუჟეტი „ქართული ოცნების წევრების სასამართლო პროცესი“. სიუჟეტში წარმოდგენილია 5 რესპონდენტი, ხუთივე კოალიციიდან და ამით სრულადაა წარმოდგენილი კოალიცია ქართული ოცნების პოზიცია, მაგრამ არ არის არც შინაგან საქმეთა სამინისტროს, არც პროკურატურის ან ხელისუფლების რომელიმე წარმომადგენლის კომენტარი.

31 ივლისის სიუჟეტში „დაყადაღებული ინსტიტუტი: სასამართლომ საქართველოს განვითარების კვლევითი ინსტიტუტის ანგარიშები დააყადაღა“ ნაჩვენებია მხოლოდ საქართველოს განვითარების კვლევითი ინსტიტუტის წარმომადგენლების და მათი ინტერესების დამცველი სუბიექტები. არ არის ნაჩვენები სასამართლოს ან ხელისუფლების წარმომადგენელი.

4 აგვისტოს სიუჟეტში „ზეწოლა ქართული ოცნების აქტივისტზე: ნიკოლოზ კიკალიშვილზე სიღნაღის რაიონის პოლიციის უფროსის მოადგილის მიერ ზეწოლა განხორციელდა“ არ არის წარმოდგენილი მეორე მხარე, ანუ შსს-ს ან სიღნაღის პოლიციის წარმომადგენლის კომენტარი.

მაესტროზე ასევე გამოვლინდა შემთხვევები, როცა ჟურნალისტის ნათქვამი/დასკვნა არ შეესაბამებოდა სიუჟეტში წარმოდგენილ მასალას: რესპონდენტების კომენტარებსა და კადრებს.

მაგალითად, 9 ივნისის სიუჟეტში „ერთი დღე აქციამდე“ ჟურნალისტი ამბობს, რომ კოალიციამ ხელისუფლების დათმობად შეაფასა ალტერნატიული ფართის გამოყოფა აქციისათვის. ამას მოსდევს კოალიციის პრესსპიკერის, მაია ფანჯიკიძის კომენტარი, რომელიც ხელისუფლებას საერთოდ არ ახსენებს.

12 ივნისის პირველი სიუჟეტში „22 თუ 121 ევრო? ქუთაისი-კიევის ავიარეისის ბილეთის ფასი 22 ევროზე გაცილებით მეტია“ ჟურნალისტი ამბობს, რომ ხელისუფლების მიერ „მენეჯმენტდაწუნებული“ აირზენა კომენტარისგან თავს იკავებს, თუმცა არ დაუდასტურებია, საიდან აქვს ინფორმაცია, რომ ხელისუფლება აირზენას მენეჯმენტს უწუნებს. სიუჟეტში ეს არავის უთქვამს, მათ შორის, არც პრეზიდენტს, რომელიც საერთოდ არ ახსენებს კონკრეტულ ავიაკომპანიას.

25 ივნისის სიუჟეტში „ატმის მოსავალი“ ჟურნალისტმა აღნიშნა, რომ, გლეხების თქმით, მთავრობა მათ საკონსერვო ქარხნის აშენებას დაპირდა; თუმცა, დაპირება არ შეუსრულებია.

მართალია სიუჟეტში რესპონდენტებმა უკმაყოფილება გამოთქვეს წამლების ფასებთან დაკავშირებით, მაგრამ საკონსერვო ქარხანა არავის უხსენებია.

3 ივლისის სიუჟეტში „თავდაცვიდან შსს-ს მინისტრობამდე: თავდაცვის ყოფილი მინისტრი შსს-ს უხელმძღვანელებს“ ჟურნალისტი ამბობს, რომ ნიკოლაიშვილის თქმით, ბაჩო ახალაიამ მისი დაცვის ქვეშ მყოფი პატიმარი სცემა. თუმცა, შემდეგ ნაჩვენებ ინტერვიუში ადვოკატი, მიუხედავად იმისა, რომ უარყოფით კონტექსტში საუბრობს ახალაიაზე, ასეთ ბრალდებას მას არ უყენებს.

26 ივლისს გასულ სიუჟეტში „კავკასიაში თბილისის საიდუმლო თამაშებზე“ ჟურნალისტმა აღნიშნა, რომ ხიზრი ალდამოვი მიხეილ სააკაშვილს ჟვანიას, პატარკაციშვილისა და რომან დუმბაძის მკვლელობაში ადანაშაულებს. თუმცა, იმ ნაწყვეტში, რაც სიუჟეტში აჩვენეს, ხიზრი ალდამოვი ამას არ ამბობს. იგი სააკაშვილს ადანაშაულებს ტერორისტული ბანდების შექმნაში, მაგრამ არ ახსენებს არც ზემოთ ჩამოთვლილ პირებს და არც მკვლელს უწოდებს მას.

გარკვეული შეუსაბამობების გარდა, მაესტროზე გვხვდება სიუჟეტები, სადაც წარმოდგენილია ისეთი კადრები ან კომენტარები, რაც ამყარებს სიუჟეტში გადმოცემულ მთავარ ამბავს. ამ მხრივ საინტერესოა 13 ივლისის გამოშვებაში გასული სიუჟეტი კარალეთში მომხდარი ინციდენტის შესახებ. სიუჟეტში აღწერილია კარალეთის ინციდენტის კადრების ორი ვარიანტი - წარმოდგენილი სააგენტო ITV-სა და ინფო 9-ს მიერ. მაესტროს სიუჟეტში ნაჩვენებია ინფო 9-ს კადრები, სადაც ჩანს, თუ რა უძღოდა წინ კალაძის გინებას. მოქალაქე კალაძეს ესაუბრება მის ძმაზე და ეუბნება, რომ მან ძმა ფულის გამო დაკარგა, რაზეც კალაძე მოთმინებას კარგავს. რუსთავი 2-ზე და იმედზე გასულ სიუჟეტებში ნაჩვენებია მხოლოდ კალაძის გინების კადრები. მაესტრო კი შეეცადა უფრო სრული სურათის წარმოდგენას.[16]

[16] იხ. სიუჟეტი შემდეგ ბმულზე: http://www.youtube.com/watch?v=wNXesz_STb8&feature=youtu.be

კავკასია

კავკასიაზე სუბეიქტებს ჯამში 21 საათი და 49 წუთი დაეთმო. დათმობილი დროის მიხედვით პირველ სამეულში მოხვდნენ კოალიცია ქართული ოცნება, მთავრობა და ერთიანი ნაციონალური მოძრაობა. პროცენტული მაჩვენებლები მათ შორის თითქმის თანაბარი შუალედებით გადანაწილდა. სიუჟეტებში სუბიექტებზე ძირითადად ნეიტრალური ზოგადი შთაბეჭდილება რჩება. თუმცა, ივლისის დასაწყისიდან ზოგადი შთაბეჭდილების უარყოფითისკენ გადახრა უფრო მეტად შეინიშნება პრეზიდენტის, მთავრობის, ადგილობრივი ხელისუფლების, ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა და სასამართლოს მიმართ. სიუჟეტები მეტ-ნაკლებად დაბალანსებულია. თუმცა, არის შემთხვევები, როცა სიუჟეტები მხოლოდ ერთ წყაროს ეფუძნება. დაუბალანსებელი სიუჟეტების შემთხვევაში, ხშირად იგრძნობა ხელისუფლების, ნაციონალური მოძრაობისა და სახელმწიფო სტრუქტურების კომენტარების ნაკლებობა. სიუჟეტები უმეტესად გამყარებულია კადრებითა და რესპონდენტების კომენტარებით. რაც შეეხება შეუსაბამობას ჟურნალისტის დასკვნასა და სიუჟეტში წარმოდგენილ მასალას შორის, ასეთი შემთხვევები ხშირი არ არის და ტენდენციას არ ქმნის, მაგრამ მონიტორინგის პერიოდში მაინც გვხვდება.

კავკასიაზე საღამოს მთავარი საინფორმაციო გამოშვება „დღეს“ საშუალოდ ნახევარ საათს გრძელდება, განსხვავებით ყველა დანარჩენი არხის საინფორმაციო გამოშვებებისგან, რომელთა ხანგრძლივობა 50 წუთიდან საათ-ნახევრამდე მერყეობს. კავკასია სიუჟეტების მცირე ხანგრძლივობითაც გამოირჩევა.

11 მაისიდან 15 აგვისტოს ჩათვლით კავკასიაზე სუბეიქტებს ჯამში 21 საათი და 49 წუთი დაეთმო. დათმობილი დროის მიხედვით პირველ სამეულში მოხვდნენ: კოალიცია ქართული ოცნება, მთავრობა და ერთიანი ნაციონალური მოძრაობა. პროცენტული მაჩვენებლები მათ შორის თითქმის თანაბარი შუალედებით გადანაწილდა. კოალიცია ქართული ოცნება - 26 პროცენტი, მთავრობა - 18 პროცენტი და ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - 11 პროცენტი. დანარჩენ სუბიექტებს შორის კი დრო თითქმის თანაბრად გადანაწილდა, მათ 8 პროცენტი ან ნაკლები დაეთმოთ. (იხ. დიაგრამა Time 5)

პირდაპირი და ირიბი საუბრის პროცენტული განაწილების მიხედვით აღსანიშნავია, რომ კოალიცია ქართული ოცნებისა და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის შემთხვევაში პირდაპირი და ირიბი საუბრის წილი თითქმის თანაბრადაა განაწილებული. კოალიციის შემთხვევაში - 47% პირდაპირი, 53% ირიბი; ნაციონალურ მოძრაობის შემთხვევაში კი - 52% პირდაპირი, 48% ირიბი. სხვა სუბიექტების უმეტესობას პირდაპირი საუბრის არანაკლებ 43 პროცენტი აქვს. გამონაკლისია მხოლოდ მთავრობა და სახელმწიფო აუდიტის სამსახური. მთავრობას დათმობილი 1 საათი და 44 წუთიდან 32 პროცენტი პირდაპირი საუბრის წილი დაუფიქსირდა, ხოლო სახელმწიფო აუდიტის სამსახურს დათმობილი 35 წუთიდან მხოლოდ 16 პროცენტი პირდაპირი საუბრის წილი აქვს. (იხ. დიაგრამა Speech 5)

სუბიექტებისთვის დათმობილი დროის ტონით შეფასებისას აღსანიშნავია, რომ ყველაზე მეტი უარყოფითი ტონი დაფიქსირდა მთავრობის მიმართ - 21 პროცენტი. კოალიცია ქართულ ოცნებას - 7 პროცენტი, ხოლო ერთიან ნაციონალურ მოძრაობას უარყოფი ტონის 9 პროცენტი დაუფიქსირდა. საინტერესოა, რომ პრეზიდენტს დადებითი და უარყოფითი ტონების წილი თანაბარი აქვს, 19 პროცენტი დადებითი და 20 პროცენტი უარყოფითი. აქვე აღსანიშნავია, რომ კავკასიაზე გამოვლენილ დადებით ტონებს შორის პრეზიდენტს ყველაზე მაღალი დადებითი ტონის წილი აქვს. დადებითი ტონი ასევე გამოვლინდა კოალიცია ქართულ ოცნებასა და მთავრობის შემთხვევაში, 5 და 9 პროცენტი. (იხ. დიაგრამა Tone 5)

ჟურნალისტის ტონის მიხედვით სუბიექტებისთვის დათმობილი დროის განაწილება უმეტესად ნეიტრალურ სურათს ქმნის. მთავრობის შემთხვევაში დაფიქსირდა უარყოფითი ტონის შედარებით დიდი წილი - 12 პროცენტი. ჟურნალისტის უარყოფითი ტონი ასევე გამოვლინდა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მიმართაც - 8 პროცენტი. ხოლო კოალიცია ქართული ოცნებას უარყოფითი ტონის 5 პროცენტი აქვს. (იხ. დიაგრამა Tone J5).

მონიტორინგის მთელი პერიოდის განმავლობაში კავკასიაში სიუჟეტებს სათაურები არ აქვს, ამიტომ მათზე დაკვირვება ვერ ხერხდება. უმეტეს შემთხვევაში სიუჟეტებში წარმოდგენილ რესპონდენტებს არ ეწერება ვინაობა, რაც ხშირად სირთულეებს ქმნის მონიტორინგისთვის.

სიუჟეტებში გამოყენებული წყაროებისა და წარმოდგენილი აზრთა სხვადასხვაობის მხრივ, კავკასიაზე მონიტორინგის პერიოდში სიუჟეტები მეტ-ნაკლებად დაბალანსებულია. თუმცა, არის შემთხვევები, როცა სიუჟეტები მხოლოდ ერთ წყაროს ეფუძნება. დაუბალანსებელი სიუჟეტების შემთხვევაში, ხშირად იგრძნობა ხელისუფლების, ნაციონალური მოძრაობისა და სახელმწიფო სტრუქტურების კომენტარების ნაკლებობა.

სიუჟეტებში სუბიექტებზე ძირითადად ნეიტრალური ზოგადი შთაბეჭდილება რჩება. თუმცა, არის სიუჟეტები, სადაც საერთო შთაბეჭდილება ამა თუ იმ სუბიექტზე იხრება უფრო დადებითისკენ ან უფრო უარყოფითისკენ. ამ მხრივ აღსანიშნავია, რომ ივლისის დასაწყისიდან ზოგადი შთაბეჭდილების უარყოფითისკენ გადახრა უფრო მეტად შეინიშნება პრეზიდენტის, მთავრობის, ადგილობრივი ხელისუფლების, ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა და სასამართლოს მიმართ. ამ შთაბეჭდილებას უმეტესად ქმნის სიუჟეტებში წარმოდგენილი რესპონდენტების კომენტარები, რომლებსაც ზოგჯერ ჟურნალისტიც იმეორებს. დადებითი შთაბეჭდილებისკენ გადახრა იშვიათია და ძირითადად კოალიცია ქართული ოცნებისა და ბიძინა ივანიშვილის მიმართ შეინიშნება.

სიუჟეტები უმეტესად გამყარებულია კადრებითა და რესპონდენტების კომენტარებით. რაც შეეხება შეუსაბამობას ჟურნალისტის დასკვნასა და სიუჟეტში წარმოდგენილ მასალას შორის, ასეთი შემთხვევები ხშირი არ არის და ტენდენციას არ ქმნის, მაგრამ მონიტორინგის პერიოდში მაინც გვხვდება.

მაგალითად, 22 ივნისის პირველი და მეექვსე სიუჟეტები (გლობალ ტვ-ს დაყადაღებისა და „მასთ ქერიზე“ ბაქრაძის ინიციატივის შესახებ). ორივე სიუჟეტში გამოყენებულია სახალხო დამცველის, გიორგი ტუღუშის, ინტერვიუ. პირველ სიუჟეტში ჟურნალისტმა აღნიშნა, რომ გიორგი ტუღუში გლობალ ტივის საწყობებში პოლიციის შესვლის ფაქტს გამოეხმაურა. ხოლო მეექვსე სიუჟეტში, ჟურნალისტის თქმით, ტუღუში პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებას გამოეხმაურა. ორივე სიუჟეტში კომენტარის ზუსტად ერთი და იგივე ნაწილია ნაჩვენები. საერთო ჯამში, გაუგებარია, რომელ საკითხს ეხება ტუღუშის კომენტარი. ამასთან, ორივე შემთხვევაში ჟურნალისტი აღნიშნავს, რომ, ტუღუშის თქმით, ხელისუფლებამ განსაკუთრებული სიფრთხილე უნდა გამოიჩინოს მედიასთან დაკავშირებულ საკითხებში.

გიორგი ტუღუშს კი ინტერვიუში ხელისუფლება არ უხსენებია. მან უბრალოდ აღნიშნა, რომ განსაკუთრებული სიფრთხილეა გამოსაჩენი ნებისმიერი მხარის მიერ.

5 ივლისის სიუჟეტში სოციალ-დემოკრატების წევრის განცხადებაზე ვანო მერაბიშვილის პრემიერმინისტრად დანიშვნასთან დაკავშირებით ჟურნალისტმა აღნიშნა, რომ, სოციალ-დემოკრატების აზრით, „სამთავრობო პრიორიტეტების ცვლილება ბიძინა ივანიშვილის დამსახურებაა“ და „სოციალ-დემოკრატები მიიჩნევენ, რომ ნაციონალური მოძრაობის მიერ ჩამოყალიბებული რეპრესიული და ავტორიტარული რეჟიმის პირობებში მათ მიერ წარდგენილი სოციალური პოლიტიკის განხორციელება აბსურდია“. სიუჟეტში წარმოდგენილი ერთადერთი წყარო, სოციალ-დემოკრატების წევრი, რომელიც საუბრობს ვანო მერაბიშვილის პრემიერმინისტრად დანიშვნაზე და მხოლოდ იმას აღნიშნავს, რომ ნაციონალური მოძრაობის მიერ წარმოდგენილი პროგრამა რადიკალურად განსხვავებულია მათი წინა პროგრამებისგან.[17]

24 ივლისის სიუჟეტში აუდიტის სახელმწიფო სამსახურის ახალი ხელმძღვანელის კანდიდატურაზე ჟურნალისტმა თქვა, რომ გავრცელებული ინფორმაციით ეკა ხერხეულიძე შეცვლიდა ლაშა თორდიას. თუმცა, არ დაუკონკრეტებია ამ ინფორმაციის წყარო. მით უფრო, რომ ეკა ხერხეულიძემ სიუჟეტში აღნიშნა, რომ მისთვის ეს ინფორმაცია უცხო იყო.

11 აგვისტოს სიუჟეტში ივანიშვილისა და კალაძისთვის ჯარიმის დაკისრების შესახებ ჟურნალისტი ამბობს, რომ კალაძე არ აპირებს ჯარიმის თანხის გადახდას. თუმცა, სიუჟეტში არც კალაძის და არც მისი ინტერესების დამცველის კომენტარი არ არის წარმოდგენილი.

მეცხრე არხი

მეცხრე არხზე მთელი მონიტორინგის პერიოდში მონიტორინგის ქვეშ მყოფ სუბიექტებს ყველაზე ნაკლები დრო, 17 საათი და 11 წუთი, დაეთმოთ. აღსანიშნავია, რომ მეცხრე არხსა და მაესტროზე დათმობილი დროის მიხედვით ძალიან მსგავსი შედეგებია. პირველ-მეორე ადგილას მოხვდნენ კოალიცია ქართული ოცნება და მთავრობა. სიუჟეტებში პრეზიდენტი,

[17] იხ. სიუჟეტი შემდეგ ბმულზე: http://www.youtube.com/watch?v=g77XSdof-60&feature=youtu.be

მთავრობისა და ხელისუფლების სხვადასხვა წარმომადგენლები და ერთიანი ნაციონალური მოძრაობა უმეტეს შემთხვევებში უარყოფით კონტექსტში არიან გაშუქებული როგორც რესპონდენტების კომენტარების, ასევე საერთო კონტექსტისა და ჟურნალისტის ტექსტის შედეგად. სიუჟეტების სათაურების მხრივ მეცხრე არხზე ძირითადად ინფორმაციული ხასიათის სათაურებია. თუმცა, ზოგჯერ შეიმჩნევა კრიტიკული და ირონიული სათაურები ხელისუფლების მიმართ. რაც შეეხება სიუჟეტებში სხვადასხვა მოსაზრებების წარმოდგენას, ამ მხრივ სიუჟეტები მეტ-ნაკლებად დაბალანსებულია. თუმცა, აღსანიშნავია, რომ უმეტეს შემთხვევაში სიუჟეტებში არ არის წარმოდგენილი მთავრობისა, სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურებისა და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენელთა კომენტარები. გამოიკვეთა შემთხვევები, როცა ჟურნალისტის ნათქვამი და სიუჟეტში წარმოდგენილი მასალა ერთმანეთთან შესაბამისობაში არ მოდის.

მეცხრე არხზე მთელი მონიტორინგის პერიოდში მონიტორინგის ქვეშ მყოფ სუბიექტებს ყველაზე ნაკლები დრო, 17 საათი და 11 წუთი, დაეთმო. აღსანიშნავია, რომ მეცხრე არხსა და მაესტროზე დათმობილი დროის მიხედვით ძალიან მსგავსი შედეგებია. პირველი ოთხეულის შემთხვევაში როგორც სუბიექტების მიმდევრობა, ასევე მათი პროცენტული მაჩვენებლები საკმაოდ მსგავსია. ისევე როგორც მაესტროზე, მეცხრე არხზეც პირველ-მეორე ადგილას მოხვდნენ კოალიცია ქართული ოცნება და მთავრობა: 28 და 23 პროცენტი. უფრო მეტი მსგავსებაა ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა და პრეზიდენტის შემთხვევაში. მეცხრე არხზე ერთიან ნაციონალურ მოძრაობას 13, ხოლო პრეზიდენტს 12 პროცენტი დაეთმო. მაესტროზე კი პირიქით, პრეზიდენტს 13, ერთიან ნაციიონალურ მოძრაობას კი 12 პროცენტი. სხვა დანარჩენ სუბიექტებს 5 პროცენტი ან ნაკლები ერგო. (იხ. დიაგრამა Time 6 და დიაგრამა Time 4)

პირდაპირი და ირიბი საუბრის განაწილებას რაც შეეხება, ყველაზე თანაბარი განაწილება კოალიცია ქართულ ოცნებას აქვს (49% პირდაპირი და 51% ირიბი), რომელსაც ამავდროულად ყველაზე მეტი დრო დაეთმო - 4 საათი და 44 წუთი. აღსანიშნავია, რომ მეცხრე არხზე ძირითადად ჭარბობს ირიბი საუბრის წილი თითქმის ყველა სუბიექტის შემთხვევაში. გამონაკლისია მხოლოდ ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა პირდაპირი

საუბრის 62 პროცენტიანი წილით და ადგილობრივი არასამთავრობოები 66 პროცენტიანი პირდაპირი საუბრის წილით. ყველაზე დაბალი პირდაპირი საუბრის წილი, 18 პროცენტი, მთავრობას დაუფიქსირდა, რომელიც დათმობილი დროსი მიხედვით მეორე ადგილას არის (4 საათი და 1 წუთი). (იხ. დიაგრამა Speech 6)

სუბიექტების გაშუქების ტონის მხრივ მეცხრე არხზე თვალში საცემია უარყოფითი ტონის სიჭარბე პირველ ხუთეულში მყოფი სუბიექტების მიმართ. მთავრობას, ერთიან ნაციონალურ მოძრაობას, პრეზიდენტსა და ადგილობრივ თვითმმართველობას 33 პროცენტზე მეტი უარყოფითი ტონით გაშუქება გამოუვლინდა. აქედან ყველაზე მეტი, 51 პროცენტი, უარყოფითი ტონი ადგილობრივ თვითმმართველობას დაუფიქსირდა. მთავრობას 37, ნაციონალურ მოძრაობას 33 და პრეზიდენტს 44 პროცენტი უარყოფითი ტონის წილი აქვთ. რაც შეეხება დადებით ტონს, მხოლოდ რამდენიმე სუბიექტს დაუფიქსირდა დადებითი გაშუქება, ისიც ძალიან მცირე რაოდენობით. აქედან შედარებით დიდი წილი: პრეზიდენტს (9% 1 საათი და 17 წუთიდან) და კოალიცია ქართულ ოცნებას (6% 3 საათი და 15 წუთიდან) აქვთ. (იხ. დიაგრამა Tone 6)

ჟურნალისტის ტონის მიხედვით სუბიექტებისთვის დათმობილი დროის განაწილება ზოგად ტონის ტენდენციის მსგავსია. უარყოფითი ტონის წილი საკმაოდ დიდია ზუსტად იმ სუბიექტების მიმართ, რომლებსაც საერთო ტონში უარყოფითი გაშუქების ასევე დიდი წილი ჰქონდათ. მთავრობა (35% 1 საათი და 39 წუთიდან), ერთიანი ნაციონალური მოძრაობა (41% 46 წუთიდან) და პრეზიდენტი (42% 35 წუთიდან). რაც შეეხება ადგილობრვ თვითმმართველობას, ამ შემთხვევაში ჟურნალისტის ტონის პროცენტული მაჩვენებლები და საერთო ტონის პროცენტული მაჩვენებლები იდენტურია: 49 პროცენტი ნეიტრალური და 51 პროცენტი უარყოფითი ტონით გაშუქება. (იხ. დიაგრამა Tone J6)

სიუჟეტების სათაურების მხრივ მეცხრე არხზე ძირითადად ინფორმაციული ხასიათის სათაურებია. თუმცა, ზოგჯერ შეიმჩნევა კრიტიკული და ირონიული სათაურები ხელისუფლების მიმართ. მაგალითები: ,,წინასაარჩევნო „დაპირება“ - პრეზიდენტი ოპონენტებს ნულოვან ტოლერანტობას უცხადებს” (26 ივნისი), „ნეპოტიზმი ხელისუფლებაში: ძმებ ახალაიებს ძმები ქარდავები დაეხმარებიან“ (9 ივლისი),

„მერაბიშვილი გორში: პრემიერმა შეხვედრებზე ერთი ტექსტი ცხრაჯერ გაიმეორა“ (18 ივლისი), „პრეზიდენტთან შეხვედრის მოლოდინში: შეხვედრის მცდელობისთვის ადამიანები ისჯებიან“ (20 ივლისი), „საჩვენებელი სამუშაოები: მიხეილ სააკაშვილმა სტიქიის ზონაში სკვერი გახსნა“ (26 ივლისი), „მეოცნებე "ნაციონალური მოძრაობა": ნაცმოძრაობამ ქართველი ოცნების სახელს ეფარება“ (30 ივლისი), „იგნორირებული კონფიდენციალობა: ფინანსურ ოპერაციებზე ხელისუფლება კონტროლს ამკაცრებს.“ (31 ივლისი), „აგიტაცია ნაციონალურად - აუდიტის სამსახურს დარღვევების შესწავლისკენ მოუწოდებენ.“ (13 აგვისტო), „შესანიშნავი ათეული“ - მმართველმა გუნდმა დეპუტატობის კანდიდატები წარადგინა“ (13 გვისტო).

თვისებრივი მონიტორინგის დროს სიუჟეტების ზოგად შთაბეჭდილებაზე დაკვირვების შედეგად მეცხრე არხზე გამოიკვეთა ტენდენცია, რომ სიუჟეტებში პრეზიდენტი, მთავრობისა და ხელისუფლების სხვადასხვა წარმომადგენლები და ერთიანი ნაციონალური მოძრაობა უმეტეს შემთხვევებში უარყოფით კონტექსტში არიან გაშუქებული როგორც რესპონდენტების კომენტარების, ასევე საერთო კონტექსტისა და ჟურნალისტის ტექსტის შედეგად.

თუმცა, აღსანიშნავია რომ მეცხრე არხზე მონიტორინგის ამ პერიოდში გავიდა ერთი-ორი სიუჟეტი, სადაც პრეზიდენტი და მთავრობა დადებთად იყვნენ წარმოჩენილი. ასეთია, მაგალითად, 29 ივნისის გამოშვებაში გასული სიუჟეტი „სტიქია წალენჯიხაში“, სადაც პერზიდენტი დადებითად არის წარმოჩენილი. აღნიშნულია, რომ პრეზიდენტმა სტიქიის გამო შეწყვიტა ვიზიტი აზერბაიჯანში. ნაჩვენებია კადრები, სადაც პრეზიდენტი მოსახლეობას ხვდება, ეხუტება ატირებულ ქალბატონს და შემდეგ იძლევა დაპირებებს, რომ ყველაფერი აღდგება. მიუხედავად იმისა, რომ სიუჟეტის ზოგადი შთაბეჭდილება მთლიანობაში დადებითია, ნაჩვენებია ის კადრი, როდესაც სააკაშვილი ცდილობს, შევიდეს წყალში, წაბორძიკდება და აღარ შედის. აღსანიშნავია, რომ ამ თემაზე მომზადებულ სიუჟეტებში სხვა არხებმა გაუშვა პრეზიდენტის წყალში გასვლის კადრები. მეცხრე არხზე კი მხოლოდ ეს ნაწილი აჩვენეს (წაბორძიკება). აქვე აღსანიშნავია, რომ იგივე სიუჟეტში პოლიცია საკმაოდ უარყოფითად არის წარმოჩენილი. ნათქვამია, რომ ისინი ხელს უშლიდნენ ჟურნალისტებს მუშაობაში, გადაკეტეს გზა და არ მისცეს საშუალება, რომ გადაეღოთ

პრეზიდენტის მთლიანი ვიზიტი. ნაჩვენებია კადრი, სადაც ჟურნალისტი მიდის უკვე დაძრულ მანქანასთან და ეკითხება, თუ რატომ გადაკეტეს გზა სპეციალურად. თუმცა, იმ მომენტში გზა გადაკეტილი არ არის.[18]

ასევე დადებითი იყო პრეზიდენტის დამთვრობის მიმართ 7 აგვისტოს გასული სიუჟეტი „სამხედროს დაკრძალვა: პრეზიდენტი გელა თიჯიშვილის დაკრძალვას დაესწრო“. იყო ნაჩვენები კადრები როგორ ეხუტება პრეზიდენტი შავებში ჩაცმულ ქალბატონს, სავარაუდოდ გარდაცვლილის დედას, როგორ ეუბნება მას, რომ ამას „არავის არ შეარჩენს“. ახლო ხედით არის ნაჩვენები პრეზიდენტის ცრემლიანი თვალები და გარდაცვლილის მამის კომენტარი, რომელიც მთავრობას უხდის მადლობას დახმარებისთვის.

ასევე საინტერესოა 11 აგვისტოს გასული სიუჟეტი „მიხეილ სააკაშვილი ონში“. სიუჟეტი მოგვითხრობს პრეზიდენტის ვიზიტს რაჭაში. ჟურნალისტის ტექსტი ნეიტრალურია და წარმოდგენილია სამი რესპონდენტის კომენტარი. აქედან პირველი ორი ქალბატონის კომენტარი საკმაოდ დადებითია პრეზიდენტის მიმართ, რაც დადებით საერთო შთაბეჭდილებას ტოვებს პრეზიდენტზე. თუმცა, ბოლო რესპონდენტი ყვება თუ როგორ არ მიუშვეს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა ის პრეზიდენტთან. ქალბატონი ამბობს, რომ ასეთი ინციდენტების შესახებ აქამდე მხოლოდ ტელვიზიით ენახა და გაზვიადებული ეგონა, მაგრამ ამბობს რომ „არა, ეს რა ვნახე?! გადამიდგნენ წინ...“. საერთო ჯამში სიუჟეტი დადებით შთაბეჭდილებას ტოვებს პრეზიდენტზე, მაგრამ ამავე დროს უარყოფით შთაბეჭდილებას ტოვებს ადგილობრივ თვითმმართველობაზე.

როგორც უკვე აღინიშნა, მეცხრე არხზე მრავლადაა სიუჟეტები, სადაც პრეზიდენტი, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა და ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები უარყოფითად, ირონიულად ან კრიტიკულად არიან გაშუქებული.

მაგალითად, 24 მაისის სიუჟეტში ფოთის აეროპორტის მშენებლობის შესახებ ახსენებენ, რომ მიხეილ სააკაშვილის იდეა იყო ფოთში აეროპორტის აშენება. სიუჟეტიდან გამომდინარე უარყოფითი შთაბეჭდილება რჩება ხელისუფლებისადმი, რადგან სიუჟეტიდან მტკიცდება,

[18] სიუჟეტი იხილეთ შემდეგ ბმულზე: http://www.youtube.com/watch?v=aiZ_r1q3uro&feature=youtu.be

რომ ფოთის აეროპორტის მშენებლობა, ჭაობების დაშრობა გამოიწვევს ეკოლოგიურ დარღვევებს.

ერთ-ერთი სიუჟეტი, რომელიც ხელისუფლებაზე უარყოფით შთაბეჭდილებას ტოვებს, არის არის 7 ივნისის „ტრაგედია ქუთაისში: ახალი მსხვერპლი პარლამენტის მშენებლობაზე“. სიუჟეტი რეალურად ეხებოდა ქუთაისში 3 წლის წინ დიდების მემორიალის აფეთქებას, რომელსაც მსხვერპლი მოჰყვა. საერთო ჯამში, სათაური სიუჟეტს არ შეესაბამება. სიუჟეტში ორჯერაა ნაჩვენები დიდების მემორიალის აფეთქების კადრები ქუთაისში. თანაც, მეორედ ნაჩვენები კადრები არ არის პროფესიონალური კამერით გადაღებული, თან სდევს სხვა ქალის კივილი, რაც კიდევ უფრო ამძიმებს კონტექტს.[19]

მაგალითად, 11 ივლისის სიუჟეტში „კოორდინატორი დირექტორები“ ჟურნალისტი ამბობს: „ჩაქვის ოაზისიდან ბაზალეთის დასასვენებელ კომპლექსში დასვენება, ღირსების ორდენი, ფული. ეს ყველაფერი სკოლის ნაციონალ დირექტორებს.“

18 ივლისის სიუჟეტი „მერაბიშვილი გორში: პრემიერმა შეხვედრებზე ერთი ტექსტი ცხრაჯერ გაიმეორა“ დამცინავი და უარყოფითია პრემიერის ვანო მერაბიშვილისადმი. მთელი სიუჟეტი აგებულია ერთ მოტივზე, რომ მერაბიშვილი ერთსა და იმავე დაზეპირებულ წინადადებებს იმეორებდა ყველა შეხვედრაზე სოფლებში, რაც უარყოფით შთაბეჭდილებას ქმნის მერაბიშვილზე.

20 ივლისის სიუჟეტი „სტიქიის კომპენსაციები: ზარალის საერთო ოდენობას მთავრობა ვერ თვლის“ უარყოფითისკენ იხრება ხელისუფლების მიმართ, რადგან ნათქვამია, რომ ხელისუფლება სულ 1000 ლარად აფასებს გლეხის მთელი წლის შრომას და, ექსპერტის თქმით, ეს ციფრები ხელისუფლების პიარ აქციას უფრო ჰგავს, ვიდრე დაზარალებულთათვის რეალურად დახმარების აღმოჩენის მცდელობას.

21 ივლისის სიუჟეტი „საქველმოქმედო 10 მილიონი“ დადებითისკენ იხრება ივანიშვილის მიმართ და უარყოფითისკენ იხრება მთავრობის მიმართ. ჟურნალისტი რამდენჯერმე

[19] სიუჟეტი იხილეთ შემდეგ ბმულზე: http://www.youtube.com/watch?v=EmiiqF-hXEs&feature=youtu.be

აღნიშნავს, რომ ეს იყო ივანიშვილის ქველმოქმედება, მთავრობა კი ამას არ აღიარებს. ამასთან, ხაზგასმითაა აღნიშნულია, რომ სარეზერვო ფონდი დაცარიელებულია და მთავრობას ფული სჭირდება. ჟურნალისტი ამბობს: „მთავრობას სახელმწიფო ზარალთან ერთპიროვნული გამკლავების ამბიცია აქვს და პოლიტიკური მეტოქის დახმარებაზე უარს ამბობს." მთლიანობაში რჩება შთაბეჭდილება, რომ ივანიშვილი ღირსეულად იქცევა და ეხმარება დაზარალებულებს, მთავრობა კი არ აღიარებს ამას მაშინ, როცა თავად ვერ უმკლავდება ზარალს.

უარყოფითია ადგილობრივი თვითმმართველობის მიმართ 10 აგვისტოს გასული სიუჟეტი „უწყლო სოფელი". გაკრიტიკებულია და უარყოფით კონტექსტშია წარმოჩენილი გამგებელი და საკრებულოს თავმჯდომარე. ნაჩვენებია საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკარებულოს თავმჯდომარესთან, ილია ჭიაურელთან, მაისში ჩაწერილი ინტერვიუ, სადაც იგი ამბობს, რომ „აგვისტოში აუცილებლად იქნება წყალი" შემდეგ კი ნაჩვენებია სოფელ უდაბნოს მოსახლეობა, რომლების ამბობენ რომ წყალი არ არქვთ უკვე დიდი ხანია. აღსანიშნავია, რომ ინტერვიუში არსად ჩანს რომ საკრებულოს თავმჯდომარე სწორედ სოფელ უდაბნოზე საუბრობს. რესპონდენტები ამბობენ, რომ წყალი მათთან არც ონკანში მოდის და არც დაურიგეს. ასევე, ნაჩვენებია სოფლის მცხოვრები, რომელიც საუბრობს ნაციონალური მოძრაობის აქტივისტების მიერ დარიგებულ წიგნებზე საქართველოში მიმდინარე მშენებლობებთან დაკავშირებით. იგი ამბობს, რომ ეს წიგნები დაურიგეს იმ ადამიანებს რომლებსაც დღეს წყალი არ აქვთ და „აი ამ მწყურვალე ხალხმა აი ამ შენობებს და ამ სურათებს უნდა უყუროს და ამით უნდა გაერთოს."

13 აგვისტოს სიუჟეტში „დიდგორის სიები" აღწერილია დიდგორობაზე ნაციონალური მოძრაობის მიერ მოწყობილ შეკრება. სიუჟეტის მიხედვით ნაციონალური მოძრაობა აკეთებს სახალხო დღესასწაულების მითვისებას და პარტიულ დღესასწაულად აქცევს, რითაც არ აძლევს საშულებას სხვა პოლიტიკური შეხედულებების მქონე ადამიანებს მივიდნენ იმ ადგილას და აღნიშნონ დღესასწაული. ამასთან ჟურნალისტის ტექსტიც საკმაოდ უარყოფითი და ირონიულია ნაციონალური მოძრაობის მიმართ. ნაჩვენებია კადრები, რომლებიც დამატებით, სხვა კუთხით, უარყოფით შთაბეჭდილებას ქმნიან მმართველ გუნდზე. ჟურნალისტის სიტყვების „როგორ გამოიყურება დიდგორის ველი ნაციონალების შეკრების

შემდეგ დავით აღმაშენებლის ბრძოლიდან 890-ე წლისთავზე“, გვაჩვენებენ ბალახებში დაყრილ საჭმლის ნარჩენებს და ნაგავს. მთელი სიუჟეტის განმავლობაში საუბარია „ველზე დაყრილ ნაგავთან ერთად ნაპოვნ“ სიებზე, სადაც დღესასწაულზე დამსწრე ადამიანების სახელები, გვარები და სხვა პირადი ინფორმაცია იყო მოცემული. ჟურნალისტი ხაზს უსვამს, რომ „მემწვადეების“ სიაც კი შედგენილი იყო. შემდეგ გვაჩვენებენ პატრულის თანამშრომლებს, რომლებიც დგანან გზაზე და ერთ-ერთი მათაგანი ადასტურებს სიის არსებობას, რომელიც მათ ნაციონალურმა მოძრაობამ გადასცა. მოყვანილია ჩიორა თაქთაქიშვილის კომენტარი სადაც ის ამბობს, რომ არ შეიძლება ერთი პარტიის მიერ მოწყობილ შეკრებაზე სხვა პარტიებმა მიიყვანონ თავიანთი მომხრეები და ამასთან ამბობს რომ ნაციონალურ მოძრაობას არ გაუკეთებია თავისი მხარდამჭერების მობილიზება და რომ იმ დღეს ქართულ ოცნებასაც ჰქონდა ორგანიზებული მსგავსი შეკრება. ამას მოსდევს მაია ფანჯიკიძის კომენტარი, სადაც ის საუბრობს, რომ მმართველი გუნდი ხელი შეუშალოს ქართული ოცნების წინასაარჩევნო კამპანიას. სიუჟეტში რესპონდენტია ასევე ფსიქოლოგი მარინა ჩიტაშვილი, რომელიც ამბობს რომ არ შეიძლება ადამიანებს აუკრძალო 12 აგვისტოს დღესასწაულის ადგილზე მისვლა. მთელი სიუჟეტი კადრების, ჟურნალსიტის ტექსტისა და რესპონდენტების კომენტარების ჩათვლით საკმაოდ უარყოფით შთაბეჭდილებას ტოვებს ერთიან ნაციონალურ მოძრაობაზე.

მეცხრე არხზე გვხვდება სიუჟეტები, სადაც კონკრეტული სუბიექტის მიმართ უარყოფით შთაბეჭდილებას ამძაფრებს ჟურნალისტის ტექსტი. მაგალითები:

- ჟურნალისტი: „ეს მაშინ, როდესაც ორი წლის წინ სააკაშვილმა ნაციონალურ არხებს 34 მილიონი ჩამოაწერა”. (18 ივლისი, სიუჟეტი შემოსავლების სამსახურის შესახებ)
- ჟურნალისტი: „საქართველოს მოქალაქეების მიერ შავი დღისთვის გადანახული ყულაბა კი ხელისუფლებამ დააცარიელა.“ (24 ივლისი, სიუჟეტი „ფინანსთა მინისტრი პარლამენტში“)
- ჟურნალისტი: „პრეზიდენტთან შეხვედის მცდელობისთვის ნაცემ მოქალაქეებს არც მიხეილ სააკაშვილის ბოდიში მიუღიათ, არც ნახვის ბედნიერება ჰქონიათ.“ (25 ივლისი, სიუჟეტი „პრეზიდენტის ბოდიში“)
- ჟურნალისტი: „ხელისუფლება უკვე ექიმების პოლიტიკური ნიშნით დევნას იწყებს.“ (3 აგვისტო, სიუჟეტი „გათავისუფლება პოლიტიკური ნიშნით“)
- ჟურნალისტი: „გაყალბების რა სქემაზე მუშაობს ხელისუფლება და როგორ აგროვებს ხმებს ნაციონალური მოძრაობა.“ (15 აგვისტო, სიუჟეტი „ლიკვიდაციის საფრთხე: ელისო ჩაფიძე მისი შესაძლო ლიკვიდაციის გეგმას ამხელს“)

რაც შეეხება სიუჟეტებში სხვადასხვა მოსაზრებების წარმოდგენას, ამ მხრივ სიუჟეტები მეტ-ნაკლებად დაბალანსებულია. თუმცა, აღსანიშნავია, რომ უმეტეს შემთხვევაში სიუჟეტებში არ არის წარმოდგენილი მთავრობისა, სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურებისა და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენელთა კომენტარები. თუმცა, რამდენიმე შემთხვევაში აღნიშნეს, რომ რესპონდენტებთან დაკავშირება და მათგან კომენტარის მიღება ვერ მოხერხდა.

მეცხრე არხზე გამოიკვეთა შემთხვევები, როცა ჟურნალისტის ნათქვამი და სიუჟეტში წარმოდგენილი მასალა ერთმანეთთან შესაბამისობაში არ მოდის. მაგალითად, 22 მაისის სიუჟეტში განხილულია თბილისში პარლამენტის შენობაზე დაკიდებული ინგლისურენოვანი ბანერი. ჟურნალისტი ამბობს, რომ პუბლიცისტი ვასილ მაღლაფერიძე ბანერს „პოლიტიკურ გოიმობად აფასებს“. ვასილ მაღლაფერიძე კი თავის კომენტარში სხვა თემას ეხება და შეშფოთებას გამოთქვამს იმასთან დაკავშირებით, რომ მთავრობის ლექსიკაში მშენებლობაზეა მეტი აქცენტი, ვიდრე თავისუფლებაზე, როგორც ეს საბჭოთა კავშირის დროს იყო.

11 ივნისის სიუჟეტში „ივანიშვილი 148 მილიონით დაჯარიმდა“ ჟურნალისტი ამბობს: „კოალიცია ქართულ ოცნებაში ამ ფაქტს უკვე უწოდეს წამსვლელი ხელისუფლების ჰონორარი, რომელსაც ხელისუფლება 7 დღის ვადაში ითხოვს“. კოალიციის არცერთი წარმომაგენელი ამ სიტყვებს არ ამბობს.

7 ივნისის სიუჟეტში, რომელიც ეხება ბიძინა ივანიშვილის ინტერვიუს ქუთაისზე და ქუთაისის აქციაზე, ჟურნალისტი ამბობს: „ბიძინა ივანიშვილის ინტერვიუდან, სადაც ის აცხადებს, რომ დაშინებით ხელისუფლება თავის მიზანს ვერ მიაღწევს“. თუმცა, ბიძინა ივანიშვილს ნაჩვენებ ინტერვიუში მსგავსი რამ არ უხსენებია.

19 ივლისის სიუჟეტში „დაცლილი პარლამენტი“[20] ნათქვამია, რომ „საქართველოს გზის“ მიერ გავრცელებული ინფორმაციით, შენობა უნდა იყიდოს საფრანგეთსა და მოსკოვში მცხოვრებმა ქართველმა ბიზნესმენმა. ამის შემდეგ ჟურნალისტი ამბობს, რომ საფრანგეთში მცხოვრები ქართველები ამბობენ, რომ ეს ადამიანი არის საქართველოს ხელისუფლებასთან და კერძოდ სააკაშვილთან დაახლოებული პირი. ამას მოსდევს ჩართვა საფრანგეთიდან, სადაც სკაიპით ერთვება მეცხრე არხის საფრანგეთის კორესპონდენტი. ის უბრალოდ ჩამოთვლის იმ ობიექტებს, რაც ამ ადამიანს ეკუთვნის და იმეორებს, რომ ეს ადამიანი საქართველოს მთავობასთან დაახლოებული პირია. თუმცა, ამისი დამადსტურებელი არანაირი დამადასტურებელი წყარო ან ფაქტი მთელ სიუჟეტში არსადაა ნაჩვენები.

25 ივლისის სიუჟეტში „პრეზიდენტის ბოდიში“[21] ჟურნალისტი ყვება მოქალაქეებზე, რომლებიც სხვადასხვა დროს ცდილობდნენ პრეზიდენტთან შეხვედრას და ამის გამო ისინი დააკავეს. სიუჟეტში ყველა ჩამოთვლილი ადამიანი ნაჩვენებია. ისინი თავად ყვებიან თავის ამბავს. ბოლოს, ჟურნალისტი ამბობს, რომ ერთ-ერთი მოქალაქე მხოლოდ იმიტომ იჯდა 6 თვე ციხეში, რომ რუსთავში ჩასულ პრეზიდენტს, რომელიც ახალ გზებზე და ინფრასტრუქტურაზე ესაუბრებოდა ხალხს, მიაძახა „ასფალტი ვჭამოთ?!“ თუმცა, არანაირი დამამტკიცებელი ფაქტი ან წყარო, რომ ეს ნამდვილად მოხდა და ნამდვილად დააკავეს ეს ადამიანი, არ არის მოყვანილი.

3 აგვისტოს სიუჟეტში „მშვიდობა კავკასიაში“ ჟურნალისტი კითხულობს ივანიშვილის ციტატას. კადრში ჩანს ტექსტი, თუმცა, პირველი ნაწილი არ ემთხვევა იმ ტექსტს, რასაც ჟურნალისტი კითხულობს.

[20] იხ. სიუჟეტი შემდეგ ბმულზე: http://www.youtube.com/watch?v=ubRSdwY5LEE&feature=youtu.be
[21] იხ. სიუჟეტი შემდეგ ბმულზე: http://www.youtube.com/watch?v=jmGhC3rmh1g&feature=youtu.be

რეალ ტვ

რეალ ტვ-ზე 11 მაისიდან 15 აგვისტოს ჩათვლით პერიოდში სუბიექტებს სულ 26 საათი და 37 წუთი დაეთმოთ. ეს დრო საკმაოდ არათანაბრად გადანაწილდა მონიტორინგის ქვეშ მყოფ სუბიექტებს შორის. პირველ ადგილას არის კოალიცია ქართული ოცნება 42 პროცენტით. მთელი მონიტორინგის მანძილზე კოალიცია აქამდე მომზადებულ ხუთივე ანგარიშში პირველ ადგილას იყო და მას ყოველთვის 40 პროცენტზე მეტი დრო ჰქონდა დათმობილი. პირველ სამეულში ასევე არიან პრეზიდენტი და მთავრობა. ორი ძირითადი ტენდენცია იკვეთება: დადებითი სიუჟეტები პრეზიდენტისა და მთავრობის მიმართ და მკვეთრად უარყოფითი შინაარსის სიუჟეტები კოალიცია ქართული ოცნების მიმართ. უარყოფით გაშუქებას უმეტესად განაპირობებს ჟურნალისტის ტექსტები, ასევე ხშირია მუსიკითა და კადრებით მანიპულირება. სიუჟეტების სათაურების მხრივ რეალ ტვ-ზე აღსანიშნავია, რომ ხშირად გვხვდება აღწერილობითი და მოკლე სათაურები. თუმცა, როცა სიუჟეტი ეხება კოალიცია ქართული ოცნების წარმომადგენლებს, სიუჟეტებს უმეტესად უარყოფითი ტონის სათაურები აქვს. სიუჟეტები ხან დაბალანსებულია, ხან არა. თუმცა, აღსანიშნავია, რომ დაუბალანსებელი სიუჟეტების უმეტესობა განპირობებულია კოალიცია ქართული ოცნების წარმომადგენლების კომენტარების ნაკლებობით ან განსხვავებული აზრის მქონე რესპონდენტების ნაკლებობით.

რეალ ტვ-ზე 11 მაისიდან 15 აგვისტოს ჩათვლით პერიოდში სუბიექტებს სულ 26 საათი და 37 წუთი დაეთმო. ეს დრო საკმაოდ არათანაბრად გადანაწილდა მონიტორინგის ქვეშ მყოფ სუბიექტებს შორის. თვალში საცემია 3 ძირითადი სუბიექტი, რომელთაც რეალ ტვ-ზე ყველაზე მეტი დრო დაეთმო. თუმცა, პროცენტულ მაჩვენებლებს შორის საკმაოდ დიდი განსხვავებებია. აქედან პირველ ადგილას დგას კოალიცია ქართული ოცნება 42 პროცენტით. აღსანიშნავია, რომ მთელი მონიტორინგის მანძილზე კოალიცია აქამდე მომზადებულ ხუთივე ანგარიშში პირველ ადგილას იყო და მას ყოველთვის 40 პროცენტზე მეტი დრო ჰქონდა დათმობილი. პირველ სამეულში ასევე არიან პრეზიდენტი 24 პროცენტით და მთავრობა 15 პროცენტით. დანარჩენ სუბიექტებს კი 4 პროცენტი ან ნაკლები დაეთმო. (იხ. დიაგრამა Time 7)

პირდაპირი და ირიბი საუბრის პროცენტულ განაწილებას რაც შეეხება, იმ ოთხი სუბიექტიდან, რომელსაც 1 საათზე მეტი დრო დაეთმო, კოალიცია ქართულ ოცნებას აქვს პირდაპირი საუბრის ყველაზე დაბალი პროცენტული მაჩვენებელი (29%) და ირიბი საუბრის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი (71%). საინტერესოა, რომ კოალიციისა და პრეზიდენტის შემთხვევაში პირდაპირი-ირიბი საუბრის განაწილება უკუპროპორციულია. პრეზიდენტს აქვს პირდაპირი საუბრის 76 პროცენტი. მთავრობას აქვს პირდაპირი საუბრის 46 პროცენტი, ერთიან ნაციონალურ მოძრაობას კი - 69 პროცენტი. (იხ. დიაგრამა Speech 7)

სუბიექტების გაშუქების ტონს რაც შეეხება, ძირითად სამ სუბიექტს თუ შევხედავთ, კოალიცია ქართული ოცნებას, რომელსაც ამ არხზე ყველაზე მეტი დრო, 7 საათი და 7 წუთი, დაეთმო, 64 პროცენტის შემთხვევაში უარყოფითი ტონითაა გაშუქებული. პრეზიდენტი უმეტესად დადებითად არის გაშუქებული. მას დადებითი ტონის 74 პროცენტი აქვს. მთავრობა კი დათმობილი 3 საათი და 5 წუთიდან 39 პროცენტის შემთხვევაში დადებითად იყო გაშუქებული. (იხ. დიაგრამა Tone 7)

სუბიექტებზე ჟურნალისტის საუბრის ტონის შეფასებისას იკვეთება, რომ კოალიცია ქართულ ოცნებას ჟურნალისტის ტონის შემთხვევაში უარყოფითი ტონის უფრო მეტი წილი აქვს - 66 პროცენტი, ვიდრე საერთო ტონის შედეგებში. მთავრობა და პრეზიდენტია ის სუბიექტები, რომლებსაც დადებითი ტონის ყველაზე დიდი წილი აქვთ: მთავრობა 17%, პრეზიდენტი 39%. (იხ. დიაგრამა Tone J7)

სიუჟეტების სათაურების მხრივ რეალ ტვ-ზე აღსანიშნავია, რომ ხშირად გვხვდება აღწერილობითი და მოკლე სათაურები. თუმცა, როცა სიუჟეტი ეხება კოალიცია ქართული ოცნების წარმომადგენლებს, სიუჟეტებს უმეტესად უარყოფითი ტონის სათაურები აქვს.
მაგალითები: „ქურდის ძმა 'ოცნებაში'" (7 ივნისი); „თაფლის ქურდები ოცნებაში" (11 ივნისი); „თავმოყვარე ლედი ნინო" (20 ივნისი); „მოსყიდვისთვის დაყადაღებული ქონება" (21 ივნისი); „გარემოცვა და შეშინებული ბიძინა" (3 ივლისი); 5 და 6 ივლისს პირველ სიუჟეტად გავიდა ერთი და იგივე სათაურის მქონე სიუჟეტი - „ოცნების" ევროპული მარცხი"; „თვითკმაყოფილი ბიძინა" (9 ივლისი), „პლაგიატი ბიძინა" (9 ივლისი); „ივანიშვილი - პლაგიატი თუ მატყუარა?" (16 ივლისი); „ბიძინას მოჯადოებული წრე" (18 ივლისი), „ბიძინას

საბჭოთა ოცნება“ (19 ივლისი), „ივანიშვილის ხრიკი“ (20 ივლისი), „მატყუარა იზორია“ (24 ივლისი), „ბიძინას სინდისის თვე“ (30 ივლისი). ხოლო როცა სიუჟეტი ხელისუფლების წარმომადგნლებს ეხება, სათაურები ნეიტრალურია ან დადებითი. მაგალითად, „იუსტიციის სახლები: მსოფლიო აღიარება“ (17 ივლისი), „დასაქმება მთავრობის პრიორიტეტი“ (25 ივლისი), „პრემიერის მადლობა ექიმებს“ (26 ივლისი), „პრეზიდენტის მადლობა ჯარისკაცებს“ (30 ივლისი); „მატყუარა გუჯაბიძე“ (3 აგვისტო); „მეოცნებე ბაციკაძე“ (3 აგვისტო); „მატყუარა ივანიშვილი“ (6 აგვისტო); „მატყუარა აბაშიძე“ (7 აგვისტო); „ბიძინას საბჭოური ნოსტალგია“ (6 აგვისტო); „ივანიშვილის ისტერია ომზე“ (10 აგვისტო); „პუტინის ფავორიტი ნინო“ (14 აგვისტო).

ზოგადად, რეალ ტვ-ს საინფორმაციო გამოშვებებში ორი ძირითადი ტენდენციაა: მთავრობისა და პრეზიდენტის შესახებ სიუჟეტებში დადებითი შთაბეჭდილება იქმნება მათზე. არჩევნებთან მიახლოებასთან ერთად გახშირებულია სიუჟეტები პრეზიდენტის, მთავრობის წარმომადგენლებისა და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის კანდიდატების ვიზიტებზე რეგიონებში და ამომრჩევლებთან შეხვედრებზე. ასევე აღსანიშნავია, რომ ამ სიუჟეტებში დიდი დრო ეთმობა ლიდერებისა და კანდიდატების სიტყვით გამოსვლებს, რაც კიდევ უფრო ამძაფრებს დადებით შთაბეჭდილებას.

6 ივნისს სიუჟეტში „ვიზიტის არაოფიციალური ნაწილი“ ნაჩვენებია ბათუმის ლამაზი ხედები და ადევს სასიამოვნო მუსიკა. რამდენიმე ხედის შემდეგ ჩნდება ჰილარი კლინტონის თვითმფრინავი. შემდეგ ნაჩვენებია მისი შეხვედრა მთავრობის წარმომადგენლებთან. სიუჟეტის მსვლელობისას ასევე ნაჩვენებია კადრები, სადაც კლინტონი და სააკაშვილი სეირნობენ ბათუმის ქუჩებში, ბულვარში და ამას თან სდევს სასიამოვნო მუსიკა.[22]

მაგალითად, 4 ივლისის სიუჟეტში „ქლორით ინტოქსიკაცია“ ნაჩვენებია კადრები, სადაც პრეზიდენტი საავადმყოფოში ხვდება დაზარალებულებს. იგივე გამოშვების სიუჟეტში „მინისტრთა ახალი კაბინეტი“ კი, ჟურნალისტი შაშკინს მოიხსენიებს, როგორც „იდეების გენერატორს.“ ასევე 9 ივლისს გასული სიუჟეტი „პრემიერის შეხვედრა მოსახლეობასთან“

[22] სიუჟეტი იხილეთ შემდეგ ბმულზე: http://www.youtube.com/watch?v=gbUdhnb7pPQ&feature=youtu.be

დადებითად წარმოაჩენს ვანო მერაბიშვილს. ნაჩვენებია, როგორ ეხუტება შეკრებილთაგან ერთ-ერთ მამაკაცს და ესალმება ბავშვს „ხელის ჩარტყმით“.

23 ივლისის სიუჟეტში „პრეზიდენტი და პატრიარქი კახეთში“ ნაჩვენებია პრეზიდენტის მოსახლეობასთან შეხვედრა ეკლესიასთან. პრეზიდენტი კოცნის ხალხს, ისინი კი მადლობას უხდიან. ამასთან, ისმის ხალხის ნათქვამი: ღმერთმა დაგლოცოთ, ღმერთმა. პრეზიდენტი ხალხში დადის, მათ ხელს ართმევს და გულში იკრავს.

24 ივლისის სიუჟეტში „პრეზიდენტი წალენჯიხაში“ ნაჩვენებია, როგორ ზის სააკაშვილი ქუთელიების ოჯახში და ესაუბრება მათ. დიასახლისი პრეზიდენტს მადლობას უხდის. შემდეგ აჩვენებენ ძველ კადრებს, სადაც პრეზიდენტი სწორედ ამ ქალბატონთან ხელჩაკიდებული მიაპობს ადიდებულ მდინარეს.

26 ივლისის სიუჟეტებში „სადაზღვევო პოლისების დარიგება“ და „პრემიერი ჯეოკლინიკაში“ დადებითი შთაბეჭდილება იქმნება ვანო მერაბიშვილზე, რადგან ის ერთ შემთხვევაში დიდი გულისყურით უხსნის ბექაურების ოჯახს დაზღვევის პირობებს, მეორე შემთხვევაში კი ელაპარაკება ბავშვს და პირდება ექიმს, რომ მათ ხელფასებს მოუმატებენ.

10 აგვისტოს სიუჟეტი „პრეზიდენტი რაჭაში“ მკვეთრად დადებითია პრეზიდენტის მიმართ. მის შესახვედრად ბევრი ხალხია შეკრებილი. პრეზიდენტის გამოჩენისას ისმის ტაში და შეძახელები, როგორიცაა: „საქართველო ჭაობიდან ამოიყვანე, ჭაობიდან“, „გახარებულმა იარე საქართველოს ტერიტორიაზე“). ხალხის უმრავლესობას ახურავს წითელი ქუდები წარწერით „მე მიყვარს საქართველო“. ზოგი ხელში აფრიალებს წითელ ფლაერებს 5 ნომრით, ზოგსაც ეროვნული დროშა უჭირავს. ვიღაცას ხელში უჭირავს წარწერა „მიშა გვიყვარს რაჭველებს.“ სიუჟეტის ბოლოს ხანშიშესული მამაკაცი სიტყვას ითხოვს. იგი ამბობს, რომ 73 წლისაა და 5 მთავრობა აქვს გამოცვლილი და რომ არავის არ გაუკეთებია ამდენი, რაც ამ მთავრობას და ყველას მოუწოდებს, ხმა ისევ მათ მისცენ. ამას კვლავ ტაში და სკანდირება მოსდევს. პრეზიდენტი მას კოცნის. სიუჟეტი ტაშის ფონზე მთავრდება.

მეორეს მხრივ, რეალ ტვ-ზე დიდი დრო ეთმობა ბიძინა ივანიშვილისა და კოალიცია ქართული ოცნების გაშუქებას და საერთო შთაბეჭდილება მკვეთრად უარყოფითი რჩება. ხშირია მონტაჟისა, კადრებითა და მუსიკით მანიპულირების შემთხვევები, ოპოზიციის წარმომადგენლების ირონიული და ცინიკური ეპითეტებით მოხსენიება, ხშირად ჟურნალისტის მხრიდანაც.

უარყოფითი გაშუქებისა და კადრებით მანიპულირების ერთ-ერთი კარგი მაგალითია 28 მაისის სიუჟეტში 27 მაისის ქართული ოცნების აქციის კადრები, სადაც კალაძე სიტყვით გამოდის და ხალხს მიმართავს. კადრები არის გაშავთეთრებული, აჩქარებული, დადებული აქვს მუსიკა კინო ფილმიდან „ფეოლა“ და ნაჩვენებია ის ნაწილი, სადაც იპოლიტე ხვიჩია ამბობს: „ხვედელიძე, დაცვას მიხედე, დაცვას“. შემდეგ აჩვენებენ კადრს კალაძის ძველი საფეხბურთო მატჩიდან, სადაც იგი მოდის და მხრებს იჩეჩავს. ამის შემდეგ ისევ იპოლიტე ხვიჩიას კადრია, სადაც იგი ცუდადაა და იძახის „გოლი, გოლი მინდა,“ სადაც მინიშნებაა კალაძის ორ ავტოგოლზე. სიუჟეტი კოალიცია ქართული ოცნების წევრ კალაძეს ძალიან უარყოფითად წარმოაჩენს.[23]

26 ივნისის სიუჟეტში „სად ისვენებდა ბიძინა ომის დროს“ კადრებითა და ჟურნალისტის ტექსტით ხაზს უსვამენ კონტრასტს ერთის მხრივ ომთან დაკავშირებულ უბედურებასა და ივანიშვილის მიერ ზღვის პირას დასვენებას შორის.[24]

9 ივლისის სიუჟეტში „ოცნების ოლიგარქის ოცნება“, ივანიშვილის ფოტო ნაჩვენებია ნამგალისა და უროს ფონზე. იგივე სიუჟეტში ხშირად არის საბჭოთა დროინდელი კადრები და რესპონდენტებადაც არჩეული არიან რეპრესირებული ადამიანების შთამომავლები. 5 ივლისის სიუჟეტში „რუსული ფული ქართულ პოლიტიკაში“ კი ნაჩვენებია ივანიშვილის სურათი მოსკოვში წმინდა ვასილი ნეტარის ტაძრის ფონზე და ამ დროს ციდან ცვივა დოლარების კუპიურები.

[23] იხილეთ სიუჟეტი შემდეგ ბმულზე: http://www.youtube.com/watch?v=zbpy7t-CgoQ&feature=youtu.be
[24] იხ. სიუჟეტი შემდეგ ბმულზე: http://www.youtube.com/watch?v=N-eUnXiOxCc&feature=youtu.be

აღსანიშნავია აგრეთვე 10 ივლისი სიუჟეტი „ოცნების მორიგი სკანდალი“, რომელიც ძალიან უარყოფითი შთაბეჭდილებით გამოირჩევა კოალიციის მიმართ როგორც ჟურნალისტის ტექსტით, ასევე კადრებით. სიუჟეტის დასაწყისში ჟურნალისტის საუბარი უარყოფითი ტონით კოალიციის შესახებ გადაბმულად გრძელდება 85 წამის განმავლობაში. 12 ივლისის სიუჟეტში „ოლიგარქის ბალანსი“ ჟურნალისტი თინა ხიდაშელს მოიხსენიებს, როგორც „შუშის სასახლის კარზე ჩატარებული კასტინგების დედოფალს“.

17 ივლისის სიუჟეტი „ოცნების სუფრა“ უარყოფით შთაბეჭდილებას ქმნის კოალიციისა და ივანიშვილის მიმართ, რადგან ნათქვამია, რომ კოალიციის წევრები ყოველი აქციის შემდეგ რესტორანში ქეიფობენ ივანიშვილის ფულით. ნაჩვენებია ბნელი ღამე და გუბაზ სანიკიძე, რომელიც მიდის რესტორან ლორდში.

19 ივლისის სიუჟეტი „ბიძინას მაჟორიტარები“[25] გამოკვეთილად უარყოფითია ქართული ოცნებისადმი, რადგან ირონიულად წარმოაჩენს უსუფაშვილსა და ხიდაშელს. სიუჟეტში ნაჩვენებია, რომ თინა ხიდაშელს და უსუფაშვილსაც არავინ იცნობ იმ რეგიონებში, სადაც ისინი წარდგენილნი არიან. ირონიულია ხიდაშელის შედარება სერიალის გმირ კასანდრასთან.

19 ივლისის სიუჟეტში „ბიძინას საბჭოთა ოცნება“[26] ჟურნალისტი ცდილობს სხვადასხვა დროს ბიძინა ივანიშვილის მიერ გამოთქმული ფრაზების ნეგატიურად წარმოჩენას. ყურადღებაა გამახვილებული ივანიშვილის განცხადებაზე, რომ სსრკ-ს დროს საქართველო კარგი იყო. საერთო ჯამში, სიუჟეტიდან გამომდინარეობს, რომ ივანიშვილს საბჭოთა საქართველოს ნოსტალგია აქვს.

24 ივლისის სიუჟეტი „კრემლის ხარვეზი“[27] ნეგატიურია ივანიშვილის მიმართ. მთელი სიუჟეტის მანძილზე იგი ერთხელაც არ არის ნეიტრალურად ნაჩვენები. ჯერ საუბარია მის მსგავსებაზე ბურჯანაძესთან და იმაზე, რომ იგი შევარდნაძის ინტერესებს ატარებს. შემდეგ

[25] იხ. სიუჟეტი შემდეგ ბმულზე: http://www.youtube.com/watch?v=S1MLVJVkPe0&feature=youtu.be
[26] იხ. სიუჟეტი შემდეგ ბმულზე: http://www.youtube.com/watch?v=G2uNaCF-CIE&feature=youtu.be
[27] იხ. სიუჟეტი შემდეგ ბმულზე: http://www.youtube.com/watch?v=3jAwQSIJvKU&feature=youtu.be

კი საუბარია მსგავსებაზე პუტინსა და ივანიშვილს შორის. სიუჟეტში წარმოდგენილ რესპონდენტებს არ ეწერებათ ვინაობა და უცნობი რჩება, ვინ არიან ის ადამიანები, ვინც უარყოფითად საუბრობს ივანიშვილზე.

26 ივლისის სიუჟეტში „ჩაშლილი შეხვედრა“[28] კოალიციის მაჟორიტარობის კანდიდატ მირიან წიკლაურზე ნათქვამია, რომ ყაზბეგში გამგებლად ყოფნის დროს მან ააგროვა ფული და მოატყუა ხალხი. ასევე ნაჩვენებია ლევან იზორიას შეხვედრა მოსახლეობასთან სამეგრელოში, სადაც ჩხუბი იყო. სიუჟეტში წარმოდგენილია მოხევე, რომელიც ქართული ოცნების მომხრეებს კურდღლებს უწოდებს და შემდეგ მათზე ლექსსაც კითხულობს, სადაც ივანიშვილი და მისი მომხრეები უარყოფითადაა მოხსენიებული. აღსანიშნავია სიუჟეტში სტუდიიდან ჩართული ჟურნალისტის ტექსტები. მაგალითად, მოხევე ხალხს იგი ისტორიულად პირმართალ და ვაჟკაც ხალხს უწოდებს, ამიტომ მოხევე რესპონდენტებისგან გამორიცხავს „ჭორების აყოლას“. ჟურნალისტი კიდევ ბევრ ისეთ დასკვნას აკეთებს, რაც არაფრით დასტურდება და საკმაოდ არასერიოზულად ჟღერს.

2 აგვისტოს სიუჟეტში „ოცნება“ ქუჩაში“[29] საუბარია იმაზე, რომ, არჩევნების გაყალბების შემთხვევაში, ქართული ოცნება ქუჩის აქციებს გეგმავს. ნაჩვენებია ბიძინა ივანიშვილის, მაია ფანჯიკიძისა და მანანა კობახიძის კომენტარები, სადაც ისინი ამას ადასტურებენ. შემდეგ კი ნაჩვენებია თბილისში ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ოპოზიციის მიერ გამართული საპროტესტო აქციების კადრები და ნაწყვეტები ზოგიერთი ოპოზიციური ლიდერის გამოსვლიებიდან (საკმაოდ უხამსი და უხეში ნაწყვეტები). აღსანიშნავია, რომ არჩეულია ძალიან უარყოფითი შინაარსის კადრები და ჟურნალისტიც ამბობს, რომ ოპოზიციის აქციების შედეგი ყოველთვის იყო არეულობა, დანაგვიანებული ქუჩები, მომატებული კრიმინალი და ეკონომიკის განვითარების შეფერხება.

6 აგვისტოს სიუჟეტი „ბიძინას გემოვნება“[30] აღწერს კოალიცია ქართული ოცნების აქციას ბათუმში. აქციის დასაწყისს ჟურნალისტის ტექსტი ახლავს: „ბიძინა ივანიშვილს ბათუმმა

[28] იხ. სიუჟეტი შემდეგ ბმულზე: http://www.youtube.com/watch?v=hsQPXdDFrFk&feature=youtu.be
[29] იხ. სიუჟეტი შემდეგ ბმულზე: http://www.youtube.com/watch?v=NQoamxtQv14&feature=youtu.be
[30] იხ. სიუჟეტი შემდეგ ბმულზე: http://www.youtube.com/watch?v=Lv_TWTwc6xQ&feature=youtu.be

ძლიერი წვიმით უმასპინძლა. შავი ღრუბელი საოცრებათა მოედნის თავზე სწორედ იმ დროს გამოჩნდა, როდესაც საგანგებოდ მოწყობილ და ბრონირებულ სცენაზე ოლიგარქი ავიდა“. სიუჟეტში ხაზგასმულია, რომ ივანიშვილი წვიმას არ დაუსველებია, თუმცა, წვიმის გამო ხალხი არ დაელოდა ივანიშვილის გამოსვლის დასასრულს და აქცია დატოვა - ნაჩვენებია კადრები და მოსახლეობის კომენტარები. სიუჟეტში ნათქვამია, რომ ბიძინა ივანიშვილის გემოვნებას არ აკმაყოფილებს ის, რაც მილიონობით ტურისტს მოსწონს და რასაც მსოფლიო ლიდერები აღიარებენ, საუბარია ბათუმზე და ნაჩვენებია ბათუმის ლამაზი კადრები სასიამოვნო მუსიკის ფონზე. სიუჟეტი ძალიან ვრცელია და მოთხრობილია აქციის შესახებ სხვადასხვა კუთხით უარყოფით კონტექსტში.

ზოგად შთაბეჭდილებას კიდევ უფრო ამძაფრებს ჟურნალისტის ტექსტები, რომლებიც რეალ ტვ-ზე მონიტორინგის მთელი პერიოდის განმავლობაში ხშირად იყო არანეიტრალური. მაგალითები:

- ჟურნალისტი: „ოფლმორეულმა და აღტკინებულმა კახა შარტავამ ცხელი ოქტომბერი ხაშურელებს დაუანონსა“. (17 მაისი, სიუჟეტში „ოცნების შეხვედრები“)
- ჟურნალისტი: „ოლიგარქი მსგავს აბსურდულ შეცდომებს ხშირად უშვებს, რის გამოც ქართული ოცნების წევრებს ოლიგარქის უგუნური ნამოქმედარის გამოსწორება ერთი მეორის მიყოლებით უწევთ“. (6 ივნისი, სიუჟეტი „ივანიშვილის მორიგი სკანდალი“)
- ჟურნალისტი: „ბიძინა ივანიშვილის ოქროთი და ფულებით დატვირთული აქლემი ამჯერად ტელეკომპანია მაესტროს კართან გაჩერდა... ამის სანაცვლოდ მათ დილა-საღამოს ეთერში ბიძინას შესახებ წირვა-ლოცვის აღვლენა ევალებათ. ლოცვები სავალდებულო იქნება სადილის წინ და სადილის შემდეგაც... გმადლობ ბიძინა, რომ განმაძღე მე შენ - დაიძახებს რომელიმე მაესტროელი და რამიშვილი და სხვები აჰყვებიან“. (15 ივნისი, სიუჟეტი „მადლობა ბიძინას“)
- ჟურნალისტი: „ბიძინა ივანიშვილი, სავარაუდოდ, მხოლოდ თავის შუშის სასახლეზეა შეყვარებული.“ (17 ივლისი, სიუჟეტი „ოცნების მაჟორიტართა სია“)
- ჟურნალისტი: „ჯონდი ბაღათურია რომ ივანიშვილის ფულის სურნელით დიდი ხანია გაბრუებულია, ამაზე საპარლამენტო უმრავლესობაში დიდ ხნის წინ საუბრობდნენ.“ (18 ივლისი, სიუჟეტი „კონსპირაციული შეხვედრა“)

- ჟურნალისტი: „პუტინი საბჭოთა კავშირის დაშლას მისტირის, ბიძინა ივანიშვილს კი წითელი საქართველო ენატრება.“ (19 ივლისი, სიუჟეტი „ბიძინას საბჭოთა ოცნება“)
- ჟურნალისტი: „თუმცა, რესპუბლიკური პარტიის ლიდერის შეგირდს, სავარაუდოდ, ფრიადებზე არ უსწავლია და პოლიტიკაში გამოჩენიდან დღემდე ოლიგარქმა უკვე არაერთი შეცდომა დაუშვა.“ (19 ივლისი, სიუჟეტი „ივანიშვილის მენტორი“)
- ჟურნალისტი: „ის, რომ მილიარდერი ივანიშვილი მაფიოზ მმართველ პუტინს სიმაღლით, ჟესტიკულაციით, საუბრის მანერით, მსოფლმხედველობით და რუსეთში დაგროვილი დიდი კაპიტალით ჰგავს, შესაძლოა მილიარდერს არ წაადგეს.“ (24 ივლისი, სიუჟეტი „კრემლის ხარვეზი“)
- ჟურნალისტი: „მას [ბიძინა ივანიშვილს], სხვა მეოცნებეებთან ერთად, ჩაზნექილი სკამებისა და ვნებიანი ღამეების ნოსტალგია ჰქონია. (6 აგვისტო, სიუჟეტი „ბიძინას გემოვნება“)
- ჟურნალისტი: „ბიძინა ივანიშვილმა შვილმკვდარი დედების მისამძიმრებისთვის დღეს ვერ მოიცალა“. (8 აგვისტო, სიუჟეტი „სად არის ბიძინა“)
- ჟურნალისტი: „მაშინ, როცა ივანიშვილი იშვიათ და ყველასათვის დასამახსოვრებელ მარგალიტებს აფრქვევს, ოდიშვილის ეგრეთწოდებულ იუმორისტულ შოუში საკუთარი ბოსის არცერთი გამონათქვამი არ ხვდება“. (8 აგვისტო, სიუჟეტი „მენტორი ივანიშვილი“)
- ჟურნალისტი: „მიუხედავად იმისა, რომ შუშის სასახლის კარზე ლედი ნინომ თავის დროზე ბევრი აკაკუნა, მას ეს კარი არავინ გაუღო. ნინო თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდა“. (9 აგვისტო, სიუჟეტი „ბურჯანაძის უარი არჩევნებს“)
- ჟურნალისტი: „ჩაბნელებული საქართველო და დასამარებული უფლებები არ ახსოვს ბიძინას. რა ეხსომება? მაშინ ივანიშვილი რუსეთში დიდ ფულს აკეთებდა“. (14 აგვისტო, სიუჟეტი „ვაჟა ლორთქიფანიძე ოცნებაში“)
- ჟურნალისტი: „ზუგდიდში მაჟორიტარობის კანდიდატის მთავარი იარაღი ალასანიას გაუმართავი მეგრულია... მეგრულის არცოდნას ვინ ჩივის, სამაგიეროდ, საზარელი მომავლის პროგნოზი ძალიან ადვილად გამოსდის“. (15 აგვისტო, სიუჟეტი „გაუმარჯოს ირაკლის“)

რაც შეეხება სიუჟეტების ბალანსს წარმოდგენილი რესპონდენტების მიხედვით, ამ პერიოდში სიუჟეტები ხან დაბალანსებულია, ხან არა. თუმცა, აღსანიშნავია, რომ დაუბალანსებელი სიუჟეტების უმეტესობა განპირობებულია კოალიცია ქართული ოცნების წარმომადგენლების კომენტარების ნაკლებობით, როდესაც შინაარსიდან გამომდინარე მათი აზრი მნიშვნელოვანია. ასევე აღსანიშნავია, რომ გვხვდება არა მხოლოდ დაუბალანსებელი სიუჟეტები, სადაც სხვადასხვა მხარის კომენტარების ნაკლებობა იგრძნობა, არამედ სიუჟეტები, სადაც რესპონდენტების მიკუთვნების მხრივ ბალანსი არის, მაგრამ არ არის წარმოდგენილი აზრთა მრავალფეროვნება.

რეალ ტვ-ზე ხშირია შეუსაბამობა ჟურნალისტის დასკვნასა და სიუჟეტში ნაჩვენებ კომენტარებსა თუ კადრებს შორის. მაგალითად, 7 ივნისის სიუჟეტი „მოქმედება ივანიშვილის ფულით“ - მთელი სიუჟეტი აგებულია იმაზე, თუ რამდენი დაუჯდა ივანიშვილს პოლიტიკაში მოსვლა. ჩამოთვლილია ოფისი, სატრანსპორტო საშუალებები, წილების შესყიდვა, ხელფასები; ასევე რამდენი გადაურიცხა ივანიშვილმა მაესტროსა და კავკასიას და რამდენი დაუჯდა მას კავკასიის ეთერში გამოჩენა. ჟურნალისტი თითოეულ ამ ჩამონათვალზე ასახელებს კონკრეტულ თანხას, მაგრამ ერთხელაც არ არის ნახსენები რა საბუთებზე ან წყაროებზე დაყრდნობითაა მოტანილი ეს რიცხვები.

6 აგვისტოს სიუჟეტში „ოცნების დაპირება პატიმარ ქალებს“ ჟურნალისტი ამბობს, რომ მედეა ვასაძე ყველა პატიმარ ქალს ქართული ოცნების მხარდაჭერის სანაცვლოდ საპატიმროებიდან გათავისუფლებას დაჰპირდა. სიუჟეტში ნაჩვენებია მედეა ვასაძის გამოსვლა ბათუმში, სადაც ის უბრალოდ მწუხარებას გამოთქვამს იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოში 4 ათასზე მეტი პატიმარი ქალია და იმასაც ამბობს, რომ იცის მათი შინაგანი მხარდაჭერის შესახებ. ამის მიუხედავად ჟურნალისტი კიდევ იმეორებს, რომ ქართული ოცნება პატიმრებს გათავისუფლებას პირდება და ჩამოთვლის იმ დანაშაულებს, რის გამოც ქალები სასჯელს იხდიან: მკვლელობა, ტრეფიკინგი, ნარკოტიკებით ვაჭრობა და ა.შ. ასევე ნაჩვენებია დაპატიმრებისა და ნარკოტიკების კადრები. სიუჟეტის დასასრულს ჟურნალისტი ამბობს, რომ ხელისუფლების ამნისტია პატიმრებს, განსაკუთრებით კი ქალებს, ისედაც ხშირად ეხება.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ რეალ ტვ-ზე ძალიან ხშირად გვხვდება კადრებითა და მუსიკით მანიპულირების შემთხვევები. ზემოთ მაგალითად მოყვანილი სიუჟეტების უმრავლესობაში გამოყენებულია დადებითი ან უარყოფითი შთაბეჭდილების შემქმნელი მუსიკა, კადრები, ანიმაციები და ეფექტები.

მაგალითად, 20 ივნისის სიუჟეტში „თავმოყვარე ლედი ნინო“ ნათქვამია, რომ ბიძინა ივანიშვილმაც და ნინო ბურჯანაძემაც დაივიწყეს ერთმანეთის მიმართ გამოთქმული მწვავე კრიტიკა. ამის შემდეგ ნაჩვენებია კადრი, სადაც ბურჯანაძე ხელს ართმევს პუტინს. ამით ხაზი ესმება იმ ფაქტს, რომ ბურჯანაძე-ივანიშვილის შერიგება შესაძლოა, როგორც ჟურნალისტმა აღნიშნა, „რუსული პროექტი იყოს“.

10 აგვისტოს სიუჟეტი „დაჯარიმებული „მეოცნებეები“[31] მთავრდება ანიმაციური კადრით, რომელიც საშინელებათა ჟანრშია გაკეთებული და 13 წამის განმავლობაში ჟურნალისტის საუბრისა და მძიმე მუსიკის ფონად გადის. კადრში შავ ფონზე ნაჩვენებია გაშავთეთრებული ბიძინას სახის ფოტო, რომელზეც მას ძალიან გაბრაზებული და ნატანჯი გამომეტყველება აქვს. სახეს მიბმული აქვს შავმანტიიანი ტანი, რომელიც თავისგან განცალკევებით მოძრაობს, დროდადრო კადრში ჩნდება ხელები, რომლებსაც ბიძინა თითქოს თავში იხლის. ამასთან, მთელი 13 წამის განმავლობაში ცვივა დოლარები.

შუამთობა ბეშუმში

მონიტორინგის პერიოდში ქვეყანაში რამდენიმე მოვლენა მოხდა, რაც სატელევიზიო სივრცეში აქტიურად გაშუქდა სხვადასხვა არხის მიერ. ასეთი მოვლენები იყო: წყალდიდობა და სტიქია საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, კარალეთში მომხდარი ინციდენტი, აგვისტოს ომის წლისთავის აღნიშვნა და ა.შ. თუმცა, განსაკუთრებული ყურადღების ღირსია 4 აგვისტოს შუამთობა ბეშუმში, რაც მონიტორინგის ქვეშ მყოფმა უკლებლივ ყველა არხმა გააშუქა. ბეშუმის დღესასწაული კარგი მაგალითია იმისა, თუ როგორ წარმოაჩენენ ერთსა და იმავე ამბავს სხვადასხვა არხები, რაც, თავის მხრივ, მათ საინფორმაციო პოლიტიკასა და ტენდენციებზე მეტყველებს.

[31] იხ. ვიდეო შემდეგ ბმულზე: http://www.youtube.com/watch?v=ArPdv1OP5Jg&feature=youtu.be

4 აგვისტოს აჭარაში შუამთობის დღესასწაულზე ორი ძირითადი პოლიტიკური ძალის ლიდერი ერთად აღმოჩნდა. მიხეილ სააკაშვილი ხალხს შეხვდა და სიტყვით მიმართა. ამ დროს იმავე ადგილას მივიდა კოალიცია ქართული ოცნების ლიდერი ბიძინა ივანიშვილი თავისი მხარდამჭერებით. ამას მოჰყვა ინციდენტი, რის შემდეგაც ქართული ოცნების მხარდამჭერებმა დატოვეს დღესასწაულის ადგილი. შვიდმა სატელევიზიო არხმა კი ეს ინციდენტი შემდეგნაირად გააშუქა:

საინტერესოა, რომ მეცხრე არხის, მაესტროსა და კავკასიის მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში ეს ამბავი პირველივე სიუჟეტად გავიდა. ამასთან, ბიძინა ივანიშვილის ბეშუმში მისვლა და მიხეილ სააკაშვილის შეხვედრა მოსახლეობასთან ერთ სიუჟეტში იყო გაერთიანებული. მეცხრეზე სიუჟეტი გაგრძელდა 3:18 წუთს (სიუჟეტს სათაური არ ჰქონდა), მაესტროზე „დაპირისპირება ბეშუმში: ბეშუმში ნაციონალური მოძრაობისა და ქართული ოცნების მხარდამჭერებს შორის დაპირისპირება მოხდა“ - 4:44 წთ და კავკასიაზე - 6:12 წთ (უსათაუროდ).

პირველ არხზე, რუსთავი 2-სა და იმედზე ორი სხვადასხვა სიუჟეტი მომზადდა ამ ინციდენტის შესახებ. ერთში მოთხრობილი იყო მოსახლეობასთან პრეზიდენტის შეხვედრისა და დღესასწაულის შესახებ, ხოლო მეორე სიუჟეტი ასახავდა ბიძინა ივანიშვილის მისვლას იმავე ადგილას. პირველ არხზე შვიდივე არხს შორის ყველაზე ცოტა დრო დაეთმო ამ სიუჟეტებს - მე-8 სიუჟეტი „პრეზიდენტი ბეშუმში“ 2:56 წთ, მე-9 სიუჟეტი „ინციდენტი ბეშუმში“ – 1:14 წთ. რუსთავი 2-ზე - მეორე სიუჟეტი „შუამთობა აჭარაში“ – 6:45 წთ, მე-3 სიუჟეტი „ქართული ოცნება ბეშუმში“ – 5:33 წთ. იმედზე - მე-5 სიუჟეტი „ივანიშვილმა ბეშუმში აჭარლები ვერ ნახა: ნასუფრალზე მისვლა“ – 5:32 წთ, მე-7 სიუჟეტი „შუამთობა“ – 14:24. თანაც, იმედის ამ სიუჟეტში 10 წუთის განმავლობაში ნაჩვენებია პრეზიდენტის სიტყვა. ამდენი დრო ბეშუმის დღესასწაულზე პრეზიდენტის გამოსვლას არცერთმა არხმა არ დაუთმო.

რაც შეეხება რეალ ტვ-ს, რადგანაც 4 აგვისტო შაბათი იყო (რეალ ტვ-ს შაბათს საღამოს მთავარი გამოშვება არ აქვს), ეს სიუჟეტი გავიდა ორშაბათის საინფორმაციო გამოშვებაში. აქვე აღსანიშნავია, რომ კვირას, 5 აგვისტოს, კოალიცია ქართულ ოცნებას ჰქონდა აქცია ბათუმში.

ამიტომ საინფორმაციოს დიდი ნაწილი დაეთმო ბათუმის აქციის განხილვას. ალბათ, ამით აიხსნება ის, რომ ბეშუმის ინციდენტი რეალ ტვ-ზე მე-12 სიუჟეტად გავიდა - „უარყოფილი ბიძინა“ (8 წუთი). ამ სიუჟეტში არ იყო მხოლოდ ივანიშვილის ბეშუმში მისვლა იყო გაშუქებული და არ იყო საუბარი პრეზიდენტის შეხვედრაზე მოსახლეობასთან. პრეზიდენტი მხოლოდ ერთხელ ჩანდა კადრში ხალხთან ერთად.

სხვადასხვა არხებზე სიუჟეტების შესავალშივე ჟურნალისტები ერთმანეთის გამომრიცხავ შეჯამებას აკეთებენ, თუ რა მოხდა ბეშუმში:

პირველი არხი: „ბეშუმში ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერ აქციაზე მისვლა „ბიძინა ივანიშვილმაც გადაწყვიტა.“

რუსთავი 2: „შუამთობის დღესასწაულზე ბეშუმში ქართული ოცნების წევრებიც ჩავიდნენ კოალიციის ლიდერთან ერთად. სოფელში ისინი სწორედ იმ დროს გამოჩნდნენ, როდესაც იქ საქართველოს პრეზიდენტი იმყოფებოდა. ამიტომ შეკრებილ ხალხთან ისინი მხოლოდ მაშინ მივიდნენ, როდესაც სააკაშვილმა სოფელი დატოვა.“

იმედი: „ბიძინა ივანიშვილმა კი ბეშუმში აჭარლები ვერ იპოვნა. ქართული ოცნების ლიდერი ბეშუმში შუამთობის დღესასწაულზე მივიდა და ნაციონალური მოძრაობის ღონისძიებაში მონაწილეობა გადაწყვიტა.“

მაესტრო: „ბიძინა ივანიშვილი კოალიციის წევრებთან და მხარდამჭერებთან ერთად სოფელში ადგილობრივებისთვის დღესასწაულის მისალოცად ჩავიდა. თუმცა, როგორც თავად აცხადებენ, ნაციონალური მოძრაობის აქტივისტებმა ივანიშვილი ალყაში მოაქციეს და შეკრებილ მოსახლეობასთან შეხვედრის საშუალება არ მისცეს.“

კავკასია: „სააგენტოების ცნობით, ბიძინა ივანიშვილი ბეშუმში ხალხთან შესახვედრად მიდიოდა. ნაციონალური მოძრაობის წევრებმა მას გზა გადაუკეტეს და ხალხთან მისვლის შესაძლებლობა არ მისცეს.“

მეცხრე არხი: „ხულოში, კურორტ ბეშუმში, სადაც დღეს შუამთობას ზეიმობდნენ ბიძინა ივანიშვილს ჰქონდა ასვლა დაგეგმილი. მის მისვლამდე ცოტა ხნით ადრე იქ პრეზიდენტის კორტეჟი გამოჩნდა.“

რეალ ტვ: „ბათუმის აქციამდე ერთი დღით ადრე ბიძინა ივანიშვილი საქართველოს პრეზიდენტთან შეხვედრას ცდილობდა. მილიარდერმა სახალხო დღესასწაულის სათავისოდ გამოყენება მაღალმთიან აჭარაში კიდევ ერთხელ სცადა.“

ორი პოლიტიკური ძალის მხარდამჭერთა დაპირისპირებისა და ჩოჩქოლის კადრები ყველა არხმა აჩვენა სხვადასხვა მიმდევრობითა და ოდენობით. აღსანიშნავია, რომ იმედზე 33 წამის განმავლობაში გრძელდება სკანდირება „წადი! წადი!“ ასევე ყველა არხმა აჩვენა სხვადასხვა კონტექსტში ჩასმული ივანიშვილის კომენტარი, სადაც ის ამ ინციდენტს ხელისუფლების პროვოკაციას უწოდებს. ივანიშვილის კომენტარი იმის თაობაზე, რომ აქციაზე ხალხი ამოყვანილი იყო, რომ ესენი არიან „ზონდერები“, რომ სააკაშვილი ცდილობს საზოგადოების ორად გახლიჩოს, რომ სააკაშვილი მშიშარაა, სხვადასხვა არხზე სხვადასხვანაირად დამონტაჟებული გავიდა.

გარდა ამისა, მეცხრე არხზე, მაესტროზე და კავკასიაზე აღნიშნული იყო, რომ ზეწოლა ჟურნალისტების მიმართაც განხორციელდა. ამასთან, მხოლოდ მეცხრე არხზე აჩვენეს სოზარ სუბარის კომენტარი იმასთან დაკავშირებით, რომ ეს პროვოკაცია სააკაშვილის დაგეგმილი და მოწყობილი იყო და სკანდირებაზე და კონკრეტულ ქმედებებზე ხალხს მითითებებს აძლევდნენ გამგეობის თანამშრომლები. კავკასია ერთადერთი არხია, რომელმაც ამ ინციდენტის შესახებ შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება გააშუქა.

პირველ არხზე და იმედზე სიუჟეტის დასაწყისშივე ჟურნალისტი აღნიშნავს, რომ სამართალდამცავებმა ივანიშვილს სთხოვეს, არ მისულიყო შეკრების ადგილას დაპირისპირების თვიდან ასაცილებლად. რუსთავი 2-ზეც ხაზს უსვავენ, რომ ივანიშვილმა პოლიციის რჩევა არ გაითვალისწინა და მაინც მივიდა აქციაზე. იმედზე, რუსთავი 2-ზე და რეალ ტვ-ზე ნაჩვენებია კადრები, სადაც ივანიშვილი საყვედურობს ბათუმის

მაჟორიტარობის კანდიდატს მურმან დუმბაძეს, რომ ცუდად აქვს დაგეგმილი აქცია და მათ იქ მისვლა დააგვიანეს. იმედზე საყვედურის კადრები 1 წუთის განმავლობაში გაგრძელდა.

სხვა არხებისგან განსხვავებით, იმედზე, რუსთავი 2-ზე და რეალ ტვ-ზე ივანიშვილის სიტყვები იმასთან დაკავშირებით, რომ ხალხი სხვადასხვა რეგიონებიდან იყო მოყვანილი, კრიტიკულად და ირონიულად იყო გაანალიზებული ჟურნალისტების მიერ. სამივე არხზე ხაზგასმულია, რომ ივანიშვილმა „აჭარაში აჭარლები ვერ იპოვა“. ამას მოსდევს ადგილობრივების კომენტარები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ აჭარლები არიან და ამ დღესასწაულს ყოველთვის ესწრებიან.

საინტერესოა, როგორ ურთიერთგამომრიცხავად აღწერეს რუსთავი 2-მა, მაესტრომ და მეცხრე არხმა ბიძინას გამოჩენა ბეშუმში. რუსთავი 2-ზე ჟურნალისტის თქმით, კოალიციის წევრები ხალხთან მხოლოდ მაშინ მივიდნენ, როცა სააკაშვილმა სოფელი დატოვა. მანამდე კი 40 წუთის განმავლობაში ბეშუმში ერთ-ერთ სახლთან იცდიდნენ. მაესტროზე ჟურნალისტის თქმით, სანამ პრეზიდენტი სიტყვით გამოდიოდა და ტელევიზიები ამას პირდაპირ ეთერში გადასცემდნენ, მანამდე ივანიშვილს ჩახერგილი გზის გამო მოუწია თავის ხალხთან ერთად ცენტრამდე ფეხით მისვლა. მეხრე არხზე კი ჟურნალისტი ხაზს უსვამს, რომ ივანიშვილის გამოჩენისთანავე პრეზიდენტმა იქაურობა ვერტმფრენით დატოვა და აჩვენებენ ვერტმფრენს, რომელიც მივფრინავს.

ბეშუმის ინციდენტში დაფიქსირდა მომენტი, როდესაც ბიძინა ივანიშვილი ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ნომრიან კეპს იხურავს. საინტერესოა, რომ ეს ფაქტი შვიდმა არხმა სხვადასხვანაირად გააშუქა. პირველ არხზე რამდენიმე წამის განმავლობაში ნაჩვენებია კადრი, სადაც აღნიშნული კეპი ახურავს ივანიშვილს ჟურნალისტის ტექსტის გარეშე და ამისი ხაზგასმა არ ხდება. იმედზე, რუსთავი 2-ზე და რეალ ტვ-ზე ჟურნალისტი ამბობს, რომ ხელვაჩაურის გამგებელმა ურჩია ივანიშვილს ნაციონალური მოძრაობის ქუდის დახურება. იმედზე ჟურნალისტი სიუჟეტის დასაწყისშივე ამბობს, რომ „საბოლოოდ ივანიშვილმა ბეშუმი ნაციონალური მოძრაობის ქუდით დატოვა“. შემდეგ სიუჟეტში გაკეთებულია ფოტო კოლაჟი, სადაც ჩანს, როგორ იხურავს ივანიშვილი ამ ქუდს და ამაზე დიდი აქცენტია გაკეთებული. რუსთავი 2-ზე ჟურნალისტი ამბობს, რომ „მოგვიანებით ბიძინა ივანიშვილმა

ხელვაჩაურის გამგებლის თხოვნა მაინც გაითვალისწინა და თავზე ნაციონალური მოძრაობის ქუდი თავადაც დაიხურა“. ამას ერთვოდა ვიდეო კადრები, სადაც ბიძინას მართლაც ახურავს ქუდი და ისე მოდის. რეალ ტვ-ზე კი ჟურნალისტი ამბობს, რომ „ადგილობრივი ხელისუფლების ნებას მალე დაჰყვა. დროებით და გარეგნულად პოლიტიკური ორიენტაციაც შეიცვალა და ქართული ოცნების მაისურებიანი მხარდამჭერების დასანახად მმართველი პარტიის საარჩევნო ნომერიც მოირგო“.

აღსანიშნავია, რომ მეცხრე არხზე საერთოდ არ აჩვენეს კადრები, სადაც ივანიშვილს ნაციონალური მოძრაობის ქუდი ახურავს, ხელვაჩაურის გამგებელს ესაუბრება და მურმან დუმბაძეს საყვედურს ეუბნება. იქიდან გამომდინარე, რომ კავკასიაზე სიუჟეტში გამოყენებული იყო მეცხრე არხის მიერ დღის საინფორმაციო გამოშვებაში გასული ვიდეო მასალა, არც ამ არხზე იყო ნაჩვენები ეგ კადრები. მაესტრო ერთადერთი არხია, რომელზეც ხელვაჩაურის გამგებელთან ივანიშვილის საუბრის კადრებთან ერთად გარკვევით ისმის ბიძინას სიტყვები: „აი, უყურეთ, თქვენი ქუდი დავიხურე, აი“ და იხურავს ქუდს, რითაც ხაზს უსვამს, რომ ივანიშვილმა ეს ნებაყოფლობით გააკეთა და არა ვინმეს რჩევით.

ბეშუმში მომხდარ ინციდენტზე მომზადებულ სიუჟეტებთან ერთად ცალკე სიუჟეტები გააკეთეს პირველმა არხმა, იმედმა და რუსთავი 2-მა დღესასწაულზე პრეზიდენტის სტუმრობასთან დაკავშირებით. სამივე სიუჟეტი საკმაოდ დადებითად წარმოაჩენს პრეზიდენტს. აქვე აღსანიშნავია, რომ პირველ არხზე ყველაზე ნაკლები დრო დაეთმო ამის გაშუქებას - თითქმის 3 წუთი. სამივე არხზე ნაჩვენებია კადრები, როგორ ხვდება პრეზიდენტი ხალხს, ხალხის ტაში და ოვაციები, როგორ ულოცავს პრეზიდენტი ახალდაქორწინებულებს და ა.შ. სამივე არხზე ნაჩვენებია პრეზიდენტის სიტყვით გამოსვლა სხვადასხვა ხანგრძლივობით და ასევე სხვადასხვა მონაკვეთები.

საინტერესოა, რომ ყველა არხზე იყო ნაჩვენები პრეზიდენტის გამოსვლის ის ნაწილი, სადაც იგი ამბობს: „ჩვენ მათ გვინდა ვუთხრათ, ჩვენ უკან წასასვლელი არსად აღარ გვაქვს. საქართველო და აჭარა იმოძრავებს მხოლოდ წინ უკეთესი მომავლისკენ, როგორც ჩვენ, ყველამ ერთად დავსახეთ.. ვინც რა არ უნდა ილაპარაკოს, ვინც რა არ უნდა გამოხატოს პოზიცია ამასწინად ერთი... რომელიღაცა ადამიანს მოვკარი თვალი, პოლიტიკოსს, და ესე

იძახოდა რო, კი ბევრი ააშენა მთავრობამ, ბევრი გააკეთეს ამ ხალხმა, გავიდნენ ეხლა და ეხლა ჩვენი მოსვლის დროც არის. მეტი საქმე არა მაქვს რომ ჩვენი აშენებული ქვეყანა თქვენ გადაგაბაროთ და დაგანგრევინოთ.“ მეცხრე არხმა და მაესტრომ ამ სიტყვების მხოლოდ მეორე ნაწილი აჩვენეს, სადაც პრეზიდენტი ამბობს, რომ არ აპირებს აშენებული ქვეყნის სხვისთვის გადაბარებას.

დანართი - დიაგრამები

დიაგრამა Time 1



დიაგრამა Time 2



დიაგრამა Time 3



დიაგრამა Time 4



დიაგრამა Time 5



დიაგრამა Time 6



დიაგრამა Time 7



დიაგრამა Speech 1

დიაგრამა Speech 2



დიაგრამა Speech 3



დიაგრამა Speech 4



დიაგრამა Speech 5



დიაგრამა Speech 6



დიაგრამა Speech 7



დიაგრამა Tone 1



დიაგრამა Tone J1



დიაგრამა Tone 2



დიაგრამა Tone J2



დიაგრამა Tone 3



დიაგრამა Tone J3



დიაგრამა Tone 4



დიაგრამა Tone J4



დიაგრამა Tone 5



დიაგრამა Tone J5



დიაგრამა Tone 6



დიაგრამა Tone J6



დიაგრამა Tone 7



დიაგრამა Tone J7